

**საგანი „მე და საზოგადოება“ - სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები
და საჭიროებები**

ხარისხობრივი კვლევის ანგარიში



საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი “თანადგომა”

2016

სარჩევი

| | |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| შესავალი | 3 |
| დამოკიდებულება საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ, როგორც კვლევის სამიზნე ჯგუფებში, ისე საზოგადოებაში | 6 |
| საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყების ოპტიმალური საფეხური | 14 |
| ცხოვრების ჯანსაღი წესი | 16 |
| ოჯახი | 20 |
| ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა | 24 |
| გენდერული თანასწორობა | 29 |
| პედაგოგთა კომპეტენცია და მათთვის საგნის „მე და საზოგადოება“ ჩატარების მინდობა | 34 |
| კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები | 39 |
| დამოკიდებულება საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ, როგორც კვლევის სამიზნე ჯგუფებში, ისე საზოგადოებაში | 39 |
| საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყების ოპტიმალური საფეხური | 42 |
| ცხოვრების ჯანსაღი წესი | 43 |
| ოჯახი | 45 |
| ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა | 47 |
| გენდერული თანასწორობა | 49 |
| პედაგოგთა კომპეტენცია და მათთვის საგნის „მე და საზოგადოება“ ჩატარების მინდობა | 51 |
| რეკომენდაციები | 53 |
| დანართი 1. ხარისხობრივი კვლევის „საგანი „მე და საზოგადოება“ - სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და საჭიროებები“ ინსტრუმენტი | 55 |

შესავალი

საქართველო განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპს გადის ევროინტეგრაციის გზაზე, ამასთან იზრდება თითოეული ინდივიდის, როგორც მოქალაქის, როლი სახელმწიფოს შენებაში. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ვალდებულებაა სამოქალაქო ცნობიერების და შესაბამისი უნარების მქონე მოქალაქის აღზრდა. ამის გათვალისწინებით მოხდა ეროვნული სასწავლო გეგმების რევიზია და სწორედ რევიზიის პროდუქტია ახალი საგნის "მე და საზოგადოება" სტანდარტი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ემსახურება ქვეყნის ღირსეული მოქალაქის აღზრდას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“, განათლების სამინისტროს სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობას იღებდა საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის შექმნაში.

აღნიშნული საგანი ითვალისწინებს ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების განხორციელებას, კერძოდ, სამოქალაქო უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, თანამონაწილეობისა და ა.შ სწავლებას. ორგანიზაცია „თანადგომა“ მუშაობდა ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხების სათანადოდ ასახვაზე სტანდარტის შედგენებთან დაკავშირებულ საკითხებთან, რამაც სასურველი დამოკიდებულების გამომუშავებამდე უნდა მიიყვანოს მოსწავლე.

საზოგადოებაში არსებულმა სხვადასხვა შეხედულებებმა, საგნის გარშემო გავრცელებულმა არასწორმა ინფორმაციამ და გაჩენილმა არაერთგვაროვანმა დამოკიდებულებამ განაპირობა ხარისხობრივი კვლევის ჩატარება, რათა გაგვევო, თუ რა დამოკიდებულებები, განწყობები და საჭიროებები არსებობს საზოგადოებაში ახალი საგნის „მე და საზოგადოება“ თემებსა და საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანი იყო საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებებისა და საჭიროებების შესწავლა სამიზნე ჯგუფებში და ანალიზის საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის განმახორციელებელი: „საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“.

კვლევის ჩატარების გეოგრაფიული არეალი: კვლევა ჩატარდა საქართველოს 5 სხვადასხვა ქალაქში - თბილისი, ბათუმი (აჭარის რეგიონი), ქუთაისი (იმერეთის რეგიონი), ზუგდიდი (სამეგრელოს რეგიონი), თელავი (კახეთის რეგიონი).

კვლევის განხორციელების ვადები: 2015 წლის ნოემბერი-დეკემბერი.

კვლევის სამიზნე ჯგუფები: გამოკითხულ იქნა შესაბამის ქალაქებში სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგები და, ასევე, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლები. სულ ჩატარდა 16 ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსია. (9 ფოკუსირებული დისკუსია - პედაგოგებთან და 7 - მშობლების ჯგუფთან). ექვსი ფოკუსირებული დისკუსია ჩატარდა თბილისში, 4 - ქუთაისში, 2 - ბათუმში, 2 - ზუგდიდში, 2 - თელავში. თოთოეული ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა 8 მონაწილისაგან. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო სკოლის დაწყებითი საფეხურის 72 პედაგოგმა (61 სხვადასხვა სკოლიდან) და დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა 56 მშობელმა.

კვლევის მეთოდოლოგია: ხარისხობრივი კვლევისთვის გამოყენებული იყო ფოკუსირებული ჯგუფური დისკუსიის მეთოდები წინასწარ შემუშავებული კვლევის ინსტრუმენტის (კითხვარის) მეშვეობით. კითხვარის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს „თანადგომა“ და განათლების სამინისტროს ექსპერტებმა. ფოკუსირებულ დისკუსიას უძღვებოდა ხარისხობრივი კვლევების ჩატარებაში გამოცდილი ფასილიტატორი/ექსპერტი, რომელსაც დამატებითი ჩანაწერების გაკეთებაში და ჯგუფის მართვაში ეხმარებოდა თანაფასილიტატორი. მთლიანი დისკუსია იწერებოდა აუდიოჩამწერით, რომლის გამოყენებაზეც დისკუსიის დაწყებამდე წინასწარ იყო მიღებული სიტყვიერი თანხმობა კვლევის მონაწილეებისაგან. კვლევის ველის განხორციელებამდე მასწავლებლებთან კვლევის ჩატარებაზე ნებართვა მიღებული იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან.

ხარისხობრივი კვლევის ძირითადი თემები იყო:

- დამოკიდებულება საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ, როგორც კვლევის სამიზნე ჯგუფებში, ისე საზოგადოებაში
- საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყების ოპტიმალური საფეხური
- ცხოვრების ჯანსაღი წესი
- ოჯახი
- ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა
- გენდერული თანასწორობა
- პედაგოგთა კომპეტენცია და მათთვის საგნის „მე და საზოგადოება“ ჩატარების მინდობა

კვლევის ანგარიშის ავტორი: სერგო ჩიხლაძე („საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი თანადგომა“).

ფოკუსირებული დისკუსიების ჩატარებისა და ინტერვიუების ტრანსკრიპტების მომზადებისათვის მადლობას ვუხდით საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა“ თანამშრომლებს ეკატერინე ჯავახიას, მაკა იოსელიანს, ნათია ხარატს, მედეა გუგუნავას, ქეთევან ჭელიძეს, არჩილ რეხვიაშვილს, მათა ჯიბუტს და ხათუნა ხაყოშიას. ასევე, გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუძღვნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის წევრებს თეა ქარჩავას, რუსუდან თევზაძეს, ნიკო სილაგაძეს და შალვა მეკრავიშვილს.

დამოკიდებულება საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ, როგორც კვლევის სამიზნე ჯგუფებში, ისე საზოგადოებაში

გამოკითხულ პედაგოგთა უმრავლესობა თვლის, რომ მოსწავლეთა აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საგანში „მე და საზოგადოება“ ისეთი თემების გათვალისწინებას, როგორცაა ცხოვრების ჯანსაღი წესი, ოჯახი, გენდერული თანასწორობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა:

„ინტერვიუერი: მოსწავლის აღზრდის საკითხში აქვს თუ არა მნიშვნელობა ისეთი საკითხების შესწავლას, როგორებიცაა: ოჯახი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა?“

რესპონდენტი 1: კი.

რესპონდენტი 2: რა თქმა უნდა“ (ფოკუსირებული დისკუსია (ფდ) N3, 9-13).

„რესპონდენტი 1: მომავალი თაობის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების შესწავლას, როგორცაა ოჯახი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ტოლერანტობა, ჩვენ, ქართველები, ბუნებით ტოლერანტები ვართ და ყოველთვის ვცდილობთ, რომ მომავალი თაობა იყოს ტოლერანტული. ოჯახსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველა ბავშვი მოდის ოჯახიდან და, იმას ვამბობ, რაც ბავშვმა არ იცის ოჯახიდან, გავუსწორობთ და უფრო უკეთეს პიროვნებად ვაყალიბებთ“ (ფდ N7, 12-17).

გამოკითხულთა უმეტესობა თვლის, რომ ბავშვები ისედაც ინტერესდებიან ამ საკითხებით და თვითონაც მოიძიებენ ამ თემებს ინტერნეტითა და მედიასაშუალებებით. პედაგოგების აზრით, გადაუმოწმებელი ინფორმაციის მოპოვებას ჯობია, რომ აღნიშნულ თემებზე მათ მიეწოდოთ გადამოწმებული და სანდო ინფორმაცია სკოლებში:

„რესპონდენტი 1: აუცილებელია, მით უმეტეს დღეს. უყურებენ ამ ფეისბუქს და არ ჯობია, ბავშვმა ნორმალურად და სწორად იცოდეს ეს საკითხები? მშობლები, ფაქტიურად, შვილებისგან შორს არიან. სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე. ისინი მუშაობენ და ბავშვები რჩებიან მარტო. ამიტომ სკოლაში ჩვენ უნდა ვასწავლოთ, როგორ იცხოვრონ ცხოვრების ჯანსაღი წესით“ (ფდ N1, 17-23).

ამავე დროს, პედაგოგების დიდ ნაწილი თანხმდება, რომ მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს გათვლილი ბავშვის ასაკზე და შესაბამისად უნდა იყოს ადაპტირებული:

„რესპონდენტი 2: ოღონდ ზომიერება უნდა იქნას დაცული;“

რესპონდენტი 1: დიახ, ასაკი გათვალისწინებული უნდა იყოს“ (ფდ N1, 24-25).

„რესპონდენტი 2: მე, მაგალითად, ვეთანხმები, იყოს ზომიერი. სცენარი უნდა იყოს შერჩეული ასაკის შესაბამისად და ლიტერატურაც უნდა იყოს შერჩეული სპეციალურად ასაკის მიხედვით“ (ფდ N1, 55-56).

გამოკითხული მშობლების უდიდესი ნაწილიც თვლის, რომ აღნიშნულ თემებზე საუბარი მისაღებია სკოლაში. მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მშობლების უმეტესობას არ აქვს სახლში იმის დრო, რომ ესაუბრონ შვილებს ამ თემებზე. დროის ფაქტორის გარდა მშობლები აღნიშნავენ, ასევე, ამ თემებზე საუბრის კომპეტენციის ნაკლებობასაც:

„რესპონდენტი 6: რაღაც შეიძლება მე არ ვიცი, ისე, რომ მივაწოდო ბავშვს, რატომაც არა. დავბერდი და კიდეც ვსწავლობ და შეიძლება არ ვიცი და ვერ ვაწოდებ ინფორმაციას კარგად მე. და თუ კი ვინმე ამას ნორმალური წესით მიაწოდებს, რატომაც არა“ (ფდ N11, 41-43).

„რესპონდენტი 6: მით უმეტეს, თუ სახლში ამის მთქმელი არავინაა, კარგი იქნება, სკოლაში მაინც თუ გაესაუბრებიან ამ თემებზე“ (ფდ N15, 14-15).

გამოკითხული მშობლების დიდი ნაწილი, ასევე, აღნიშნავს, რომ საჭიროა მასწავლებლებს, რომლებიც ამ თემებზე მიაწოდებენ ბავშვებს ინფორმაციას, ჰქონდეთ სათანადო ცოდნა და კომპეტენცია:

„რესპონდენტი 1: ოღონდ, გააჩნია ვინ ასწავლის კიდეც. მასწავლებელსაც ვილაცამ უნდა ასწავლოს, როგორ ასწავლოს“ (ფდ N11, 51-52).

ამ პროცესში მშობლების ჩართულობაზე აკეთებს აქცენტს გამოკითხული პედაგოგების დიდი ნაწილი:

„რესპონდენტი 2 : კი ბატონო, ვეთანხმებით, მასწავლებელი ძალიან დიდ როლს თამაშობს ბავშვის ცხოვრებაში, მაგრამ მშობელსაც უნდა ჰქონდეს რაღაც როლი, უნდა იყოს ჩართული“ (ფდ N1, 76-77).

კვლევაში მონაწილე პედაგოგთა უმრავლესობის აზრით, დაწყებითი საფეხურის ბაზაზე სხვადასხვა საგნებში ზემოთ აღნიშნული საკითხები არასათანადოდ არის ასახული. სახელდება ბუნება, რომელშიც არის ნახსენები ჯანსაღი ცხოვრების წესის ელემენტები, როგორცაა ხელის დაბანა და ა.შ. თუმცა, ეს ძალიან ზედაპირულია და არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვს რაიმე უნარ-ჩვევა ჩამოუყალიბდეს:

„რესპონდენტი 3: ბუნებაში არის, მაგრამ ძალიან გაბნეულია და პატარა-პატარა დრო აქვს დათმობილი. სიღრმისეულად ვერ განიხილავ, კი, უნდა დავიბანოთ ხელი და შევისწავლოთ ჩვენი ორგანოები, მაგრამ ისე, რომ ... შედეგობრივ კავშირებზე გავდიოდეთ - ეს არ არის.

რესპონდენტი 4: უნარ-ჩვევები რომ ჩამოვუყალიბოთ ბავშვებს, ამ დოზით არ მიეწოდება“ (ფდ N7, 32-36).

მშობლების უდიდესი ნაწილიც თვლის, რომ ამ საკითხებს არ ექცევა დიდი ყურადღება სკოლის დაწყებით საფეხურზე:

„რესპონდენტი 1: არანაირი ყურადღება აქ არ ექცევა.

რესპონდენტი 2: ძაან ზოგადად, მსუბუქად, მარტივად შეიძლება შეეხოს მასწავლებელი.

რესპონდენტი 3: ან საერთოდ არ ექცევა ყურადღება, ან ელემენტარულ დონეზე“ (ფდ N15, 31-33).

როგორც მასწავლებლების, ასევე პედაგოგების უმრავლესობა თანხმდება, რომ პიროვნული განვითარებისა და სოციალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების სწავლება აუცილებელია ადრეული ასაკიდანვე:

„რესპონდენტი 6: მეც ვეთანხმები, რომ აუცილებელია პიროვნულ განვითარებაზე პატარა ასაკიდანვე მუშაობა, იმისთვის, რომ თავიდანვე სწორად ჩამოუყალიბდეს შეხედულებები იგივე ოჯახზე, ტოლერანტობაზე, გენდერულ თანასწორობაზე“ (ფდ N5, 34-36).

გამოკითხული პედაგოგების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ, მათი დაკვირვებით, ბავშვებს შორის ნამდვილად არის საჭიროება, რომ პირველი კლასიდანვე ესაუბრონ ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, პირადი ჰიგიენა:

„რესპონდენტი 1: ნამდვილად საჭიროა გარკვეული დოზირებით მივაწოდოთ ბავშვს, თუნდაც ოჯახი, თუნდაც ჯანსაღი კვება, თუნდაც ჰიგიენა. მოდიან ისეთ ბავშვები რომლებსაც სჭირდებათ კბილების გამოხეხვაზე საუბარი. ეს საჭიროა დავიწყოთ პირველი კლასიდან და გარკვეული დოზირებით ნელ-ნელა შევიტანოთ პროგრამაში“ (ფდ N7, 51-54).

გამოკითხული მშობლებისა და მასწავლებლების დიდი ნაწილი თვლის, რომ რაც ადრე დაიწყება ამ თემებზე საუბარი, მით მეტია იმის შანსი, რომ ბავშვებს ეს უნარ-ჩვევები კარგად გაუჯდეთ და გაჰყვეთ მთელი ცხოვრების მანძილზე:

„რესპონდენტი 4: რაც უფრო ადრე შეეხებიან ამ საკითხებს, უკეთესია. რაც უფრო ადრე ჩაეყრება საფუძველი, უფრო კარგად გაუჯდება ცხოვრებაში და კარგია. ჩამოყალიბდება უფრო მეტად კულტურულ ადამიანად. თუნდაც ის ტოლერანტობა, რომლის საფრთხის წინაშეც ეხლა ვდგევართ (ილიმება)...“ (ფდ N14, 16-19).

„რესპონდენტი 3: რაც ადრე, უკეთესია, იმიტომ, რომ სწორედ ამ ასაკში იძენენ მოსწავლეები იმ თვისებებს, რაც მთელი ცხოვრება გაჰყვებათ მერე“ (ფდ N3, 175-176).

ზოგიერთი პედაგოგი და მშობელი უფრო შორსაც მიდის და თვლის, რომ ზოგიერთ თემებზე უფრო ადრეულ (სკოლამდელ) ასაკშიც კი უნდა დაიწყოს საუბარი. ასეთ თემებად მიიჩნევენ უფროსებისა და თანატოლების პატივისცემას, სისუფთავის დაცვას, გარემოს დანაგვიანების თავიდან აცილებას და სხვ.:

„რესპონდენტი 4: ჩემი სურვილი რომ იყოს, სკოლამდელი ასაკიდანაც მისაღები იქნება. პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს ბავშვი, რომ არ დაყაროს ნაგავი, უფროსებს და თავის თანატოლებს პატივი სცეს“ (ფდ N12, 38-40).

გამოკითხული პედაგოგების ნაწილის აზრით, ამ საგნის („მე და საზოგადოება“) სწავლება ადრეული ასაკიდან საშუალებას მისცემს ბავშვებს, გამოუმუშავდეთ ისეთი ჩვევები, როგორცაა საზოგადოებაში ადეკვატური ქცევის უნარი, კონფლიქტების არიდებისა და მშვიდობიანად მოგვარების უნარი:

„რესპონდენტი 1: ალბათ, პასუხისმგებლობის გრძნობა, საზოგადოებაში ადეკვატურად მოქცევის უნარი.

რესპონდენტი 3: რა ვიცი აბა, გადაწყვეტილების მიღების უნარი, კონფლიქტების მოგვარების უნარი ძალის გამოყენების გარეშე, მშვიდობიანად“ (ფდ N4, 46-50).

დისკუსიაში მონაწილე მშობლების ნაწილი აღნიშნავს, რომ „ზნეობა, კანონმორჩილება და სხვებისადმი პატივისცემა“ - ეს არის ის უნარ-ჩვევები, რაც ამ საგნის სწავლების შედეგად შეძლება შეიძინონ ბავშვებმა:

„რესპონდენტი 8: იგივე, რაც ვთქვით, მორალი, ზნეობა, პატივისცემა...“

რესპონდენტი 3: კანონმორჩილება და პატივისცემა...“

რესპონდენტი 2: ზნეობრიობა, კულტურულობა, თანაგრძნობა გაჭირვებულის მიმართ, ზოგადად ადამიანურობა“ (ფდ N12, 45-48).

კვლევაში მონაწილე მშობლებისა და პედაგოგების დიდი ნაწილის აზრით, თუ მსგავს თემებზე ბავშვები იქნებიან გათვითცნობიერებული და მომზადებულები, ეს მათ

დაეხმარება მოზრდილ ასაკში უფრო წარმატებით გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს და დაიცვან საკუთარი შეხედულებები:

„რესპონდენტი 3: მე მიმაჩნია, რომ ბავშვი ყოველმხრივ უნდა იყოს გათვითცნობიერებული და განვითარებული რომ ცხოვრების გზაზე სირთულეების გადალახვა უფრო იოლად შეძლოს. თუ ჩვენ ჩიხში მოვაქცევთ ამ ბავშვებს და სხვადასხვა ტერმინზე აკრძალვას დავუწესებთ, აუცილებლად დადგება მომენტი, რომ მას მოუწევს ამ საკითხთან შეჯახება და ის იქნება აბსოლუტურად მოუმზადებელი და მე მიმაჩნია, რომ პატარა ასაკიდან უნდა ჰქონდეს გასიგრძეგანებული, უნდა იცოდეს, რომ ყველაფერზე საკუთარი შეხედულება ჰქონდეს“ (ფდ N5, 25-31).

რამდენიმე მშობელი გამოთქვამს სინანულს, რომ მსგავსი საკითხები სკოლაში არ ისწავლებოდა მათი ახალგაზრდობის დროს. მათი აზრით, დღევანდელი საზოგადოება უფრო წინასწარი იქნებოდა, მსგავსი საგნის სწავლება მათ ბავშვობაშიც რომ შესაძლებელი ყოფილიყო:

„რესპონდენტი 4: ზოგადად, ასე მგონია, რომ თუ დაიწყება ეს საგანი [„მე და საზოგადოება“], მომავალი თაობა უფრო კულტურული და უფრო ცივილიზებული მოვა. აი, ჩვენი თაობის მშობლებსაც რომ ჰქონოდათ ეს საგანი, ეხლა ასეთი საზოგადოება არ იქნებოდა, უკეთესი იქნებოდა“ (ფდ N14, 31-33).

„მე და საზოგადოების“ სწავლების პროცესში, გამოკითხული რესპონდენტების - როგორც მასწავლებლების, ასევე მშობლების - დიდი ნაწილი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ისეთი ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, როგორიცაა ჯანსაღი კვება. მათი აზრით, რაც ადრე მიეწოდება ბავშვს ამის შესახებ ინფორმაცია, მით მეტი შანსია, რომ ის ჯანსაღად იკვებოს მოზარდობის პერიოდში:

„რესპონდენტი 6: ეგ ძალიან კარგია. ე.ი. პრაქტიკულ ჩვევასაც უმუშავებენ და პატარაობიდანვე აჩვენებენ ნორმალურ კვებას“ (ფდ N3, 342-343).

რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, მსგავს თემებზე ადრეულ ეტაპზე საუბარი ქმნის კეთილსაიმედო გარემოს, რომ ახალგაზრდა აღიზარდოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ, რომელსაც აქვს მაღალი სამოქალაქო შეგნება და ზრუნავს ირგვლივ მყოფებზე:

„რესპონდენტი 7: მართლა ტყიურები ხომ არა ვართ. . . . უნდა ჩამოყალიბდეს ბოლოს და ბოლოს ისეთი საზოგადოება, სადაც მოქალაქეები იქნებიან და საქართველოსათვის იზრუნებენ . . . არა მარტო საკუთარი თავისათვის“ (ფდ N11, 632-634).

ფოკუსირებულ დისკუსიებში მონაწილე მშობლებიდან მხოლოდ რამდენიმემ გამოთქვა აზრი, რომ წინააღმდეგია ახალი საგნის დამატებისა და ამის მიზეზად დაასახელა ბავშვების (კონკრეტულად თავისი შვილების) გადატვირთვა და გადაღლა:

„რესპონდენტი 6: მე, მაგალითად, კიდევ ერთი საგნის დამატება საერთოდ არ მინდა, ისედაც ბევრი აქვს სამეცადინო და შვიდი-რვა გაკვეთილი აქვთ, იღლებიან და საჭმლის ჭამასაც ვერ ასწრებენ, მერე სხვადასხვა წრეებში დადიან ამა თუ იმ საგანში და მუსიკით და სპორტით თუ არის კიდევ ბავშვი დაკავებული, ხომ საერთოდ დრო აღარ რჩებათ“ (ფდ N15, 51-54).

კვლევაში მონაწილე მასწავლებლების და მშობლების უმრავლესობის აზრით, ეს საგანი იქნება კარგი ბაზა შემდგომში „ჩემი საქართველოს“ სწავლებისათვის. პედაგოგთა და მშობელთა აზრით, „მე და საზოგადოება“ მოამზადებს ადრეული საფეხურის მოსწავლეებს უფრო რთული საკითხების დასაძლევად. მათი აზრით, მოსწავლეების გარდა, მასწავლებლებსაც გაუადვილდებათ მაღალ კლასებში გარკვეულ თემებზე საუბარი და ინფორმაციის მიწოდება:

„რესპონდენტი 2: მეც ასე ვფიქრობ, იმიტომ, რომ „ჩვენი საქართველო“ აღარ იქნება ასე უცხო და ბავშვებიც უფრო ადვილად მიიღებენ ამ საგანს. თან მასწავლებლებიც გაიგებენ, რომ იმ საგანთან გამჭოლია სამოქალაქო. გააცნობიერებენ, რომ არ არის მხოლოდ გეოგრაფია და ისტორიის ნაკრები. მარტო ამ საგანს კი არა, მთლიანად სკოლას და სწავლების პროცესს დაეხმარება“ (ფდ N6, 602-606).

„რესპონდენტი 4: მე მგონია, როგორც ჯერ ანბანს სწავლობენ და მერე კითხვას, ასევე ეს საგანი უნდა ისწავლონ და მერე მაღალ კლასში სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებზე გადავიდნენ.

რესპონდენტი 6: წინასწარ მზად იქნებიან ზოგიერთ საკითხებში“ (ფდ N15, 359-363).

ფოკუსირებულ დისკუსიებში ყურადღება დაეთმო იმ ფაქტსაც, რომ გარკვეული პირები და ჯგუფები ეწინააღმდეგებიან აღნიშნული საგნის დანერგვას სკოლებში. გამოკითხული პედაგოგებისა და მშობლების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი არის საზოგადოებაში ინფორმაციის ნაკლებობა:

„რესპონდენტი 3: ... ნაკლები ინფორმირებულობა ალბათ განაპირობებს ამ განწყობას. მე მგონია, რომ თუკი მოხდება ახსნა-განმარტება და

საფუძვლიანი შესწავლა, უარყოფითი დამოკიდებულება აღარ იქნება” (ფდ N6, 319-321).

„რესპონდენტი 3: მე-მგონი, ინფორმირებულნი არ იყვნენ [საგანის მოწინააღმდეგეები] უბრალოდ, რას ითვალისწინებს ეს საგანი. არგუმენტები არ გამოუთქვამთ, მაგრამ იყო შეკითხვები: „შენ ხომ მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ?“ „ესე იგი საპატრიარქოს გვერდზე განუდექი“. მოსმენის სურვილიც არ ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, გამომლანძღეს“ (ფდ N6, 267-271).

„რესპონდენტი 7: ნუ, აქ, ალბათ, ის მომენტია, რომ არ იცინა კონკრეტულად, არ კითხულობენ, არ აინტერესებთ“ (ფდ N11, 278-279).

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილის აზრით, მოხდა ამ თემის პოლიტიზირება და მისი რელიგიურ ასპექტებში გადატანაც კი. დისკუსიაში მონაწილეების აზრით, ვერაფერს „ქართულის და ტრადიციულის საწინააღმდეგო“-ს ისინი ვერ ხედავენ ამ საგნის სწავლებაში. მათი აზრით, თავისი უარყოფითი როლი ითამაშა მედიასაშუალებებმაც, რომლებმაც არასაკმარისად და ზოგჯერ მიკერძოებულად გააშუქეს ამ საგანთან დაკავშირებული საკითხები:

„რესპონდენტი 4: ჩემი აზრით, ყოველთვის ცდილობენ, განსაკუთრებით ტელევიზიით, ყველაფერი პოლიტიკურ ჭრილში დაინახონ და პოლიტიკური პარტიები ამას იყენებენ სათავისოდ, მაგრამ ვინც საღად მოაზროვნეა, დანახავს ამის უკან რა დგას.

რესპონდენტი 5: ნამდვილად, ვინც წესიერად გაიაზრებს, რას ასწავლის ეს საგანი, არაფერი ქართულის და ტრადიციულის საწინააღმდეგო აქ არ არის.

რესპონდენტი 3: მეც ვეთანხმები მასმედიის როლზე ნათქვამს, მასებს აიყოლიებენ და ბრმად ეთანხმებიან ყველაფერზე. ყველაფერს სიახლეს ეწინააღმდეგებიან თავიდან, ეს მართლ ამ საგანზე არ ყოფილა“ (ფდ N4, 65-72).

კვლევაში მონაწილეთა ნაწილის აზრით, ამ თემაზე ხშირად საუბრობენ „ყალბი ავტორიტეტები“ და შემდეგ ხდება ამ გამონათქვამების ტირაჟირება მედიასაშუალებებით. პედაგოგების ნაწილმა აღნიშნა, რომ საჭიროა მეტი პროპაგანდა და „პიარი“ იმ ადამიანებისგან და უწყებებისგან (მათ შორის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან), რომლებიც ჩართულები არიან სტანდარტის შემუშავებაში და რომლებსაც შეუძლიათ ობიექტური ინფორმაციის გავრცელება ამ საგანთან დაკავშირებით:

„რესპონდენტი 4: არასაკმარისმა პიარმა და არასაკმარისმა გამლამ საკითხის. მაპატიეთ და ასევე ყალბი ავტორიტეტები. ვილაცები ძალიან ბრძნული აზრით ქადაგებენ, რომ ეს არ უნდა იყოს. სამწუხარო რეალობაა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის გარკვეული არხები ძალიან პოპულარულია. ამ არხებზე ვითომ ავტორიტეტების ვითომ ავტორიტეტულმა განცხადებებმა გამოიწვია ეს შედეგი” (ფდ N6, 329-333).

„რესპონდენტი 3: ...მე ვთვლი, რომ საჭიროა მეტი პროპაგანდა და ინფორმირებულობა. ქალბატონმა სწორად აღნიშნა, უბრალოდ არ გისმენენ” (ფდ N6, 293-297).

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილმა აღნიშნა, რომ გარკვეული გაუგებრობა იყო თვითონ პედაგოგებს შორისაც, რადგანაც მათ არ იცოდნენ კარგად, რაზე იყო საუბარი და რას მოიაზრებდა ეს საგანი. ის პედაგოგები, რომლებიც ჩართული იყვნენ გასულ წელს საგნის „მე და საზოგადოება“ პილოტირებაში, აცხადებენ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გააკრიტიკეს კოლეგა პედაგოგებმა, რომლებიც არ იყვნენ ჩართული პილოტირებაში და არ ფლობდნენ საგანზე სათანადო ინფორმაციას:

„რესპონდენტი 3: ჩვენთან დაწყებითის მასწავლებლებისგან იმდენი აგრესია არ იყო, რამდენადაც მაღალი კლასების პედაგოგებისგან. მე მკითხეს: შენ არ შეგრცხვება შენს მოძღვართან მისვლის?“ (ფდ N6, 288-290).

„რესპონდენტი 4: ნაკლები ინფორმაცია (ყველა ერთხმად ეთანხმება). ყველამ ვნახეთ, გადაცემაც იყო და მერე ფეისბუქზეც იყო კომენტარები. მე რომ არ ვყოფილიყავი ჩაბმული ფოკუს-ჯგუფში და არ მცოდნოდა, რაზე იყო საუბარი, არ ვიცი... მერე ჩვენ ერთმანეთს ვწერდით, ნუთუ ჩვენ ამაზე ვიყავით და არა იმაზე, რასაც ვაკეთებდით? იმდენად დამაჯერებლად გამოვიდნენ და ტალახი ისე ისროლეს, რომ ლამის ჩვენც კი ეჭვი შეგვეპარა, მიუხედავად იმისა, რომ ჩართულები ვიყავით“ (ფდ N7, 478-483).

ამავე დროს, პედაგოგების ნაწილის თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც პირიქით, კოლეგები საგნის პილოტირებაში მონაწილე პედაგოგებს თხოვდნენ დამატებითი ინფორმაციის და მასალების გაზიარებას, რათა მათაც შეძლებოდათ მსგავსი ინფორმაციის გაზიარება მოსწავლეებისთვის და მსგავსი გაკვეთილების ჩატარება:

„რესპონდენტი 1: ჩემთან, ჩემს ირგვლივ, დაწყებითში, ამაზე არ ყოფილა არანაირი წინააღმდეგობა. პირიქით, მთხოვეს, რომ ეს სცენარი მომეცი და მეც გამოვიყენებო. პირიქით, წაიკითხეს სცენარი, გაეცნენ და საკმაოდ კარგად მიიღეს” (ფდ N6, 278-280).

რამდენიმე პედაგოგი და მასწავლებელი ამ საგნისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად ასახელებს შიშს უცხო და ახალი თემების მიმართ. მათი თქმით, ყოველივე ახალი აღიქმება, როგორც საფრთხე ტრადიციული ღირებულებების მიმართ:

„რესპონდენტი 1: ალბათ ტოლერანტობის გამო, ფიქრობენ, რომ თუ შემწყნარებელი ვიქნებით უცხოურის მიმართ, ეს საშიშროებას შეუქმნის ქართველობას“ (ფდ N3, 247-248).

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყების ოპტიმალური საფეხური

კვლევის მონაწილეების უმრავლესობას მართებულად მიაჩნია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყება მე-3 კლასიდან. მათი თქმით, ამ ასაკში ბავშვები ისედაც ინტერესდებიან იმ თემებით, რასაც ეს მეცნიერებები მოიაზრებენ და საუბრობენ ერთმანეთში ამ საკითხებზე. ინფორმაციის მოსამიებლად ბავშვებს აქვთ თავისუფალი წვდომა ინტერნეტთან, ტელევიზიასთან, სხვა მედიასაშუალებებთან, აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. შესაბამისად, მშობლებისა და პედაგოგების უმრავლესობის აზრით, მნიშვნელოვანია მათ ინტერესებს და მსჯელობებს მიეცეთ სწორი მიმართულება და კომპეტენტური პასუხები გაეცეს მათ კითხვებს:

„რესპონდენტი 2: თვითონაც განიხილავენ ბავშვები ასეთ სიტუაციებს ერთმანეთში და ე. ი. საჭიროა, რომ სპეციალისტმა სწორი მიმართულება მისცეს ბავშვის აზროვნებას და სწორად იმსჯელოს ამა თუ იმ საკითხზე“ (ფდ N15, 201-203).

„რესპონდენტი 1: დღევანდელი თაობები უფრო ინფორმირებულები არიან, ამათ ბევრად მეტი ესმით, ვიდრე ადრინდელ ბავშვებს. ინფორმაციას იღებენ სოციალური ქსელიდან, ტელევიზორიდან. ეს ბავშვები კარგად ფლობენ კომპიუტერს, კარგად იციან, სად შევიდნენ, რა წაიკითხონ და ამიტომ აუცილებელია, რატომაც არა?“ (ფდ N7, 321-325).

„რესპონდენტი 7: 8-9 წლის ასაკის ბავშვები უკვე თვითონაც ინტერესდებიან ისეთი თემებით, როგორცაა გარდატეხის ასაკი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ამიტომ დროულად თუ მივაწოდებთ მათთვის საინტერესო ინფორმაციას, არ იქნება ურიგო“ (ფდ N5, 136-138).

პედაგოგთა უმრავლესობის აზრით, ზუსტად ამ ეტაპზე, მე-3-4 კლასებში, ხდება პიროვნების ჩამოყალიბება და, შესაბამისად, ზუსტად ამ პერიოდშია საჭირო საუბარი

და ინფორმაციის მიწოდება ამ თემებზე. მათი თქმით, უფროს კლასებში ბავშვებს უკვე სხვა ინტერესები უჩნდებათ, აქვთ ჩამოყალიბებული ქცევები და დამოკიდებულებები, რომელთა შეცვლა უკვე ძნელია ან შეუძლებელია:

„რესპონდენტი 1: საწყისი კლასები მთავარი ეტაპია, სადაც ყალიბდება თვისებები და პიროვნება. მე-5 და მე-6 კლასში უკვე დაგვიანებულია. მარტო ის არ არის საკმარისი, რომ ქართულის მასწავლებელმა ასწავლოს ქართული, წერა-კითხვა. აუცილებელია მიდგომა, პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება. ჩემთვის, პირადად, პირველ რიგში არის პიროვნული თვისებები. ამის გარეშე არ არსებობს გაკვეთილი. მეგობრობა, სიყვარული, ურთიერთდამოკიდებულება – ეს არის მთავარი და ზუსტად ეს საგანი სწორად არის გათვლილი და გაწერილი. ის სამი სცენარი, რომლითაც ჩვენ გაკვეთილები ვატარებთ სამი კვირის განმავლობაში [იგულისხმება საგნის „მე და საზოგადოება“ პილოტირება], იმდენად დამეხმარა მე, რომ კარგ შედეგზე გავედით, სახალისოც იყო და სასიამოვნოც“ (ფდ N6, 129-137).

„რესპონდენტი 7: მეცხრე კლასში სხვა ინტერესები აქვს, სხვა ღირებულებები აქვს და შენ ვეღარ ასწრებ, ვეღარ ეწევი. უკვე ჩამოყალიბებულია და ვერ ცვლი“ (ფდ N6, 454-455).

კვლევაში მონაწილე მშობელთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ დრო ამ თემებზე სახლში სასაუბროდ. ზოგი ამის მიზეზად ასახელებს მოუცვლელობას, ზოგიც კი სპეციფიურ თემებზე საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციის ნაკლებობას:

„ინტერვიუერი: თქვენ ესაუბრებით?“

რესპონდენტი 5: არა, მე არა, ნაკლებად.

რესპონდენტი 6: ისეთი თაობიდან ვართ, ასე სპეციალურად ვერ დავეუჯდები და ვერ ვესაუბრები ამ თემებზე.

რესპონდენტი 4: მე, მაგალითად, არ მცალია, სულ საქმეს ვაკეთებ“ (ფდ N15, 226-231).

მშობელთა და პედაგოგთა ნაწილი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ამ თემებზე საუბარი მე-3 კლასიდან კი არა, უფრო ადრეც უნდა დაიწყოს. მთავარი, მათი აზრით, არის ის, რომ ინფორმაცია იქნას ასაკის შესაფერისად მიწოდებული და გათვალისწინებული იქნას ბავშვის მიერ საკითხის აღქმის უნარი:

„რესპონდენტი 1: პირველი კლასიდან, ოღონდ შესაფერისი ინფორმაციით. ბალებშიც თუ შევა რაღაც ელემენტარული, კარგი იქნება. „ხელი დაიბანე“, ჩემი აზრით, პირველი კლასელისთვისაც გვიანია. იწყებოდეს ასაკის შესაფერისი საკითხების სწავლება, შესაფერის ასაკში. ოჯახის წევრებს რომ პატივი უნდა სცე, ბაღშიც უნდა იცოდეს...“ (ფდ N13, 125-128).

„რესპონდენტი 2: რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი, ოღონდ ეს უნდა იყოს ასაკის შესაფერისად მიწოდებული“ (ფდ N4, 145-146).

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილის აზრით, საზოგადოებრივი მეცნიერებების ადრეულ ასაკშივე სწავლება დადებითად იმოქმედებს შემდგომში ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე და გამოუმუშავებს ისეთ თვისებებს, როგორცაა ტოლერანტობა, ემპათია, სოციალური პასუხისმგებლობა და ზოგადად, ნაკლები აგრესია იქნება საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ:

„რესპონდენტი 1: პირველ რიგში ემპათია, ტოლერანტობა, სოციალური პასუხისმგებლობა, პიროვნული პასუხისმგებლობა“ (ფდ N6, 153-154).

„რესპონდენტი 7: სტრესი იქნება ნაკლები ამ საგნის მერე ყველაფერში. პრობლემას მიუდგება სულ სხვანაირად. ჯანსაღი მარტო კვება ხომ არ არის?! ფსიქიკაც ხომ მნიშვნელოვანია...“ (ფდ N9, 265-267).

„რესპონდენტი 8: კარგი იქნება დაწყებით კლასებში ამისი სწავლება, იმიტომ, რომ საზოგადოებაში ისე მოიმატა აგრესიამ, ურთიერთუპატივისცემულობამ, ქალების ჩაგვრამ...“ (ფდ N12, 207-208).

„ინტერვიუერი: ფაქტია, რომ პრობლემა ჩნდება პატარა ასაკში. (ინტერვიუერს ყველა ერთხმად ეთანხმება).

რესპონდენტი 4: ჩნდება პატარა ასაკში, მაგრამ დროულად თუ დაელაპარაკები, აღარ გაჩნდება“ (ფდ N1, 441-443).

გამოკითხული პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ მსგავსი საგნების და მიმართულებების სწავლების მნიშვნელობა კარგად უნდა განემარტოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებსაც, რომ არ დარჩეს პასუხის გარეშე კითხვები და მშობლებიც ჩართულები იყვნენ ბავშვების განათლების პროცესში:

„რესპონდენტი 6: ... კმაყოფილები დარჩებიან ბავშვებზე და მშობლებზე.

რესპონდენტი 7: შეიძლება, რაღაც კითხვები გაუჩნდეთ მშობლებს, მაგრამ უნდა ავუხსნათ ამ საგნის მნიშვნელობა“ (ფდ N3, 254-256).

ცხოვრების ჯანსაღი წესი

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ:

„რესპონდენტი 4: ყველაზე დროული ინფორმაციის მიწოდება ამ საკითხზე არის სწორედ დაწყებით კლასებში, იმიტომ, რომ ამ ასაკში ყალიბდება ცნობიერება“ (ფდ N4, 77-78).

„რესპონდენტი 8: კი, აუცილებლად, თუნდაც ფიზიკური ვარჯიშიდან დაწყებული, ადრე დილით სკოლა რომ იწყებოდა დილის გამამხნეველი ვარჯიშით, აქედან უნდა იწყებოდეს, გასეირნება, ჯანსაღი საკვები“ (ფდ N12, 51-55).

„რესპონდენტი 7: ადრევე თუ არ ისწავლეს სწორი გადაწყვეტილების მიღება... მერე ძნელია“ (ფდ N3, 269-270).

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ქცევის დასწავლა და განმტკიცება სწორად ადრეულ ასაკში ხდება და რაც ადრე დაიწყება ამ თემაზე საუბარი, მით მეტი ეფექტი იქნება სამომავლოდ. მათი თქმით, მთავარია ასაკის შესატყვის ენაზე იქნას მიწოდებული ინფორმაცია:

„რესპონდენტი 7: მგონი არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, პირველიდან იქნება, თუ მეორედან. მთავარია, გასაგებ ენაზე და სახალისო იყოს და პირველკლასელიც მშვენივრად აითვისებს“ (ფდ N3, 361-363).

„რესპონდენტი 7: იცით, რაშია საქმე? მაშინ არის განათლებული ადამიანი, თუ მას უნარები ჩვევაში უჯდება და ზუსტად დაწყებითი კლასები არის ის პერიოდი, როდესაც მოსწავლე ყველაფერს შედარებით უკრიტიკოდ იღებს, ფაქტიურად დაწყებითში რომ ისწავლება, ფაქტიურად ჩვევაში გაუჯდება, ეს უფრო რთულია უკვე მაღალი კლასის მოსწავლისთვის, ის უკვე კრიტიკულად უყურებს და რთულად მიდის ეს ყველაფერი და, რა თქმა უნდა, ჯობია, ეს ყველაფერი (ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება) დაწყებითი კლასებიდან დაიწყოს“ (ფდ N2, 60-65).

პირადი ჰიგიენის დაცვა, სწორი კვება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სპორტული აქტივობები, დასვენებისა და შრომის სწორი გადანაწილება - ეს არის ის თემები, რომელსაც კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა (პედაგოგები და მშობლები) მოიაზრებს ცხოვრების ჯანსაღი წესის ქვეშ, სკოლის დაწყებით საფეხურზე:

„რესპონდენტი 1: პირადი ჰიგიენა, კვება აუცილებლად, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში ყოფნა, საკლასო გარემოს ჰიგიენა...“ (ფდ N7, 190-191).

„რესპონდენტი 4. პირველ რიგში, ჯანსაღი კვება, პირადი ჰიგიენა, ურთიერთობები, კონფლიქტების მართვა. ესეც ჯანსაღი ცხოვრების ნაწილია....შემდგომ უკვე რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ

ინფორმაცია, ასაკის შესაბამისი დოზებით – ეს აუცილებელია” (ფდ N6, 337-341).

„რესპონდენტი 8: დაბანა, ჰიგიენა, სისუფთავე ხელების, ხშირად ხელების დაბანა, დღეში რამდენიმეჯერ, ჯანსაღი საკვები, არა კოკა კოლა...(იცინის)“ (ფდ N12, 58-59).

„1.რესპონდენტი: სპორტი.

2.რესპონდენტი: ნაკლები დრო კომპიუტერთან და ტელევიზორთან.

3.რესპონდენტი: მეცადინეობები სუფთა ჰაერზე.

4.რესპონდენტი: გარემოს დაცვა.

6.რესპონდენტი: ალკოჰოლის და თამბაქოს მავნებლობა.

7.რესპონდენტი: სწორი დასვენება, სწორი შრომა, სწორი სწავლა.

8.რესპონდენტი: როგორ არ მიაყენონ ზიანი საკუთარ ჯანმრთელობას“ (ფდ N3, 275-283).

„რესპონდენტი 4: მაგალითად, როგორ უნდა ჩანთის ტარება, რა სიმძიმის ტარება შეუძლია...“ (ფდ N2, 92-93).

კვლევაში მონაწილე პედაგოგების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ თავიანთი პრაქტიკიდან და დაკვირვებებიდან გამომდინარე ხედავენ იმის საჭიროებას, რომ თავიანთ აღსაზრდელებს ესაუბრონ ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ:

„რესპონდენტი 5: მეც ვეთანხმები. პირადი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ ბევრ მოზარდს სჭირდება ამ საკითხებზე საუბარი, მაგრამ არა გარდატეხის ასაკიდან, არამედ უფრო ადრე, დაწყებითი კლასებიდან თუნდაც“ (ფდ N5, 75-77).

პედაგოგების ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხშირად ოჯახში ბავშვებს არ ესაუბრებიან ჯანსაღი ცხოვრების წესზე და, ზოგადად, ჯანმრთელობის საკითხებზე. აქედან გამომდინარე, მათი აზრით, სკოლას ეკისრება დიდი მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია ამ თემაზე:

„რესპონდენტი 3: რა ვიცი, ისევ ამ გადატვირთული რეჟიმის გამო, მშობლებს არ სცალიათ ბავშვთან ურთიერთობისთვის, ზოგიერთი ბებიასთან არის დატოვებული, რომლის ძირითადი საზრუნავია საკვები მიაწოდოს ბავშვს და არ გაუცოდეს, ავად არ გაუხდეს“ (ფდ N4, 85-88).

კვლევაში მონაწილეების უმეტესობა თანხმდება, რომ ბავშვებთან ამ საკითხებზე საუბარი უნდა წარმოებდეს სტრუქტურირებული სახით. პედაგოგებისა და მშობლების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ ეს უნდა იყოს ინტერაქტიული

გაკვეთილები, როლური თამაშების, აუდიო-ვიდეო და ვიზუალური მასალის მაქსიმალური გამოყენებით. მასწავლებლებისა და მშობლების აზრით, ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს ბავშვს გამარტივებულ, მისთვის გასაგებ ენაზე:

„რესპონდენტი 3: შექმნან სახელმძღვანელო, სადაც იქნება ასევე ვიზუალური, ილუსტრირებული მასალა და მარტივად უნდა მიეწოდოს ეს მოსწავლეს, გართულებული არ უნდა იყოს, ზოგჯერ გვგონია, რომ ჩვენ ვიცით და ბავშვმაც უნდა იცოდეს“ (ფდ N2, 52-55).

„რესპონდენტი 5: რა თქმა უნდა, თუმცა, ამას მარტო საუბრის სახე არ უნდა ჰქონდეს, მსგავს თემებზე საუბრისას აუცილებელია სახელმძღვანელოში იყოს სიტუაციური ამოცანები, რაღაც პოსტერები, სურათები, იმიტომ, რომ ბავშვს ასე უკეთ ამახსოვრდება. სააზროვნო, სამსჯელო ტექსტები“ (ფდ N2, 104-107).

პედაგოგების დიდი ნაწილი თვლის, რომ მათ უნდა მიეცეთ ზუსტი და დეტალურად გაწერილი ინსტრუქცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა საკითხებზე და როგორ უნდა ჩატარდეს ამ თემაზე გაკვეთილი. მათი აზრით, მნიშვნელოვანია სტანდარტში გაწერილი თემების ბავშვებისთვის მიწოდება მოხდეს ობიექტურად, პირადი სუბიექტური აზრების თავზე მოხვევის გარეშე:

„რესპონდენტი 2: ყველა საკითხის განსჯის დროს უნდა იყო გათვალისწინებული, რომ ვიღაცამ თავისი აზრი არ მოახვიოს თავს სხვას, მაგრამ აქ, რადგან ამხელა აჟიოტაჟი მოყვა ამ თემას და ამხელა ინტერესია, რომ ისე ზუსტად უნდა გაიწეროს სახელმძღვანელოც და სიტუაციებიც და ისე უნდა დაიგეგმოს, რომ იმ მასწავლებელმა, რომლებიც ჩაატარებენ... სწორად ჩაატარონ და ვერ დაამახინჯონ თემები. ამიტომ, ძალიან ზუსტი ჩარჩო უნდა მივცეთ მასწავლებლებს, რომ ვერ დაამახინჯონ თემა და ვერ გადაუხვიონ თემიდან. კონკრეტულ მიზანზე უნდა იყოს თითოეული ამოცანა მიმართული და იცოდეს, რომ ამ სიტუაციურ ამოცანას ამ მიზნით აკეთებს, შედეგად რა შეიძლება მიიღოს... არ უნდა მოხდეს რაღაცის პროპაგანდა, მასწავლებლის მიერ კერძო აზრების თავზე მოხვევა მოსწავლეებისათვის და ა.შ. ეს საშიშროება არსებობს“ (ფდ N6, 404-413).

კვლევის მონაწილეთა ნაწილის აზრით, ამ თემებზე საუბრისას, მასწავლებლებმა უნდა დაიცვან დელიკატურობა, მაგალითად, როცა საუბარია ჭარბ კვებაზე და ჭარბ წონაზე, რომ არ მოხდეს ბავშვის პირადი გრძნობების და ღირსების შელახვა:

„რესპონდენტი 5: მასწავლებელზეა დამოკიდებული. ბავშვის თავმოყვარეობა არ უნდა შელახოს მასწავლებელმა. მაგალითად, თუ

ბავშვი ძალიან მსუქანია და ბევრს ჭამს, ისე არ უნდა ვქნათ, რომ ჩვენი ლაპარაკის შემდეგ ზედმეტად შეშინდეს და დაფეთდეს“ (ფდ N3, 422-424).

კვლევის რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ ბავშვებთან ჯანმრთელობის თემების განხილვის პროცესში ჩაერთვება სკოლის სამედიცინო პერსონალი:

„რესპონდენტი 3: ექიმებიც უნდა ჩაერთონ ამ ნაწილში, იმხელა შტატია სკოლებში და რატომაც არა“ (ფდ N3, 311-312).

ოჯახი

კვლევაში მონაწილე მშობლებისა და პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა გამოთქვამს აზრს, რომ ისეთი საკითხი, როგორცაა ოჯახი აუცილებელია ისწავლებოდეს დაწყებით საფეხურზე:

„რესპონდენტი 8: ჩემი აზრით, ნორმალურია, რომ ოჯახზე საუბარი დაიწყონ ბაღიდან და მერე არ იყოს პრობლემა მე-5 და მე-6 კლასში“ (ფდ N1, 289-290).

„რესპონდენტი 5: ბავშვობიდანვე რომ ცოდნოდა ბევრს ოჯახის მნიშვნელობა და ადგილი, ამდენი დანგრეული ოჯახები არ იქნებოდა ახლა“ (ფდ N2, 180-181).

კვლევის მონაწილე პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ ამ თემის (ოჯახის) ადრეულ ეტაპზე სწავლება შეიძლება გახდეს ერთგვარი პრევენცია ისეთი პრობლემებისა, როგორცაა, მაგალითად, ადრეული ქორწინება, ოჯახის დანგრევა და სხვ., რამაც შეიძლება თავი იჩინოს უფრო მოზრდილ ასაკში:

„რესპონდენტი 7: (მიმართავს დაწყებითების პედაგოგებს) შენ რომ დაწყებითებში კარგად ასწავლო, თუ რა არის ოჯახი, მე მე-11 კლასში არ მეყოლება გათხოვილი გოგო და მე-12 კლასში გაცილებული უკვე. აუარებელი მე-11 კლასელი დადის ორსული და მე-12 კლასელი უკვე გაცილებული“ (ფდ N1, 279-281).

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ოჯახზე საუბრისას ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემას, უფროსების დაფასებას, საქმიანობის გადანაწილებას ოჯახის შიგნით და სხვ. კვლევის მონაწილეთა ნაწილი

ოჯახის წევრებს შორის თანაბარ უფლებებზე საუბრობს და ხაზს უსვამს გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის საჭიროებას:

„რესპონდენტი 8: დედა, მამა, ბებია, ბაბუა, როგორ არის უფლებები განაწილებული, რომ ყველა ოჯახის წევრს თანაბარი უფლება აქვს...(ფდ N12, 116-117).

„რესპონდენტი 6: კი, დაწყებითში უნდა გაუჯდეთ ბავშვებს ოჯახის ინტერესების და უფროსების პატივისცემა“ (ფდ N3, 392-395).

„რესპონდენტი 2: უნდა ვისაუბროთ ფუნქციების გადანაწილებაზე, რომ არ უნდა იყოს გენდერული სტერეოტიპი, რომ ეს ქალის საქმეა და ეს კაცის საქმეა, აი ამაზე უნდა იყოს საუბარი. რომ ოჯახი არის მიკროსოციუმი რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ იყოს წარმატებული ეს ბავშვი. ... თაობებს შორის ხიდი რომ იყოს. არ უნდა იყოს დაცინვის საგანი მარტოხელა დედა, რომ ისიც არის ოჯახი, თუმცა ორწევრიანი, არის მრავალწევრიანი და არის ორწევრიანი“ (ფდ N6, 352-364).

„რესპონდენტი 6: რა მოვალეობები აქვთ ოჯახის წევრებს, რა ურთიერთობებია ფასეული“ (ფდ N5, 109).

პედაგოგების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს მამების ნაკლებ ჩართულობაზე ბავშვის აღზრდის საქმეში და საოჯახო საქმიანობაში ზოგადად:

„რესპონდენტი 1: ახლა ძალიან ხშირია გაუცხოების პრობლემა, ოჯახის წევრები ერთმანეთს ფაქტიურად არ ესაუბრებიან, განსაკუთრებით მამებთან ურთიერთობაში ჩანს გაუცხოების მომენტი, არადა, მამას, ვიცით ყველამ, რამხელა როლი აქვს ბავშვის აღზრდაში და განვითარებაში“ (ფდ N4, 117-120).

კვლევის მონაწილეები ასახელებენ სხვადასხვა საგნებს, სადაც შეიძლება მოხდეს ამ საკითხის (ოჯახის თემის) განხილვა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სახელდება ჰუმანიტარული საგნები, სადამრიგებლო გაკვეთილი, „მე და საზოგადოება“. დისკუსიებში მონაწილეთა უმეტესობა თანხმდება, რომ ოჯახი იმდენად ფართო ცნებაა, რომ ის გადანაწილებული უნდა იყოს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში:

„რესპონდენტი 1: მე და საზოგადოებაში (სხვებიც იმავეს ამბობენ სხვადასხვა მხრიდან)“ (ფდ N7, 244).

„რესპონდენტი 6: ისტორიაშიც შეიძლება, ქართულშიც შეიძლება და ნებისმიერში, ასეთი რაღაცეები ამ თემასთან მიმართებაში“ (ფდ N12, 111-112).

„რესპონდენტი 2: ჩემი აზრით, უმჯობესია სხვადასხვა საგნებში გადანაწილდეს, იმიტომ რომ ქართულმაც შეიძლება მიაწოდოს, უცხო ენამაც, მუსიკამაც და ცოტ-ცოტა ყველამ“ (ფდ N3, 219-220).

მხოლოდ რამდენიმე პედაგოგი აცხადებს, რომ ოჯახის ცნება სკოლაში არ უნდა ისწავლებოდეს და რომ ამაზე საუბარი უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახში და არა სკოლაში. ამის არგუმენტად მოყავთ ის, რომ, მათი აზრით, ეს არ არის პედაგოგის მოვალეობა:

„რესპონდენტი 2: ჩემი მოვალეობა არ არის, ვასწავლო მე ოჯახი, იმიტომ, რომ ეს ოჯახიდანაც უნდა ისწავლებოდეს. ჩემი აზრით, არ უნდა ისწავლებოდეს ცნება „ოჯახი“ (ფდ N1, 282-283).

ოჯახის თემაზე საუბრის აუცილებლობასთან ერთად, კვლევის მონაწილეების უმეტესობა აღნიშნავს, რომ აუცილებელია გარკვეული სიფრთხილე, რომ არ მოხდეს უნებლიედ ბავშვისთვის ტკივილის მიყენება. ლაპარაკია ისეთ სიტუაციებზე, როდესაც ბავშვს არ ჰყავს ერთი ან ორივე მშობელი, ან დედ-მამა გამოორებულია:

„რესპონდენტი 3: როდესაც ცოლ-ქმარი გამოორებულია, ბავშვისთვისაც დიდი სტრესია.

ინტერვიუერი: თქვენ ამტკიცებთ, რომ დედა და მამა თუ გამოორებულია, ესე იგი ოჯახი არ არის?

რესპონდენტი 3: ოჯახი არის, მაგრამ თვითონ ბავშვს აქვს არასრულფასოვნების განცდა“ (ფდ N1, 251-252).

„რესპონდენტი 3: იმ მასწავლებელმა, რომელიც ამ თემებს შეიტანს კლასში, ძალიან კარგად უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის ოჯახური მდგომარეობა და ამის მიხედვით ააწყოს გაკვეთილი.

რესპონდენტი 4: ხო, ზოგს მშობელი არ ჰყავს და ისე არ უნდა ვქნათ, რომ გული ვატკინოთ“ (ფდ N3, 415-421).

ამავე დროს, კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ თემის სწორად და კორექტულად განხილვის შემთხვევაში უხერხული მომენტები დაყვანილი იქნება მინიმუმამდე. ამისთვის, საჭიროა არ მოხდეს კონკრეტული ოჯახების განხილვა და მით უმეტეს განსჯა, მაგალითების მოყვანა უნდა ხდებოდეს ზოგადად და არა მოსწავლეთა ოჯახის წევრების მაგალითზე. ასევე, მნიშვნელოვანია „კლიშეებისგან“ გათავისუფლება. კვლევის მონაწილეთა აზრით, ოჯახი შეიძლება იყოს ორწევრიანიც

და ექვსწევრიანიც, შეიძლება ოჯახში იყოს წარმოდგენილი 1 მშობელი ან ორივე მშობელი, ზოგ ოჯახში არის ბებია-ბაბუა და ზოგში - არა, ზოგ ოჯახში არის მარტოხელა დედა ან მარტოხელა მამა და ეს არის ისეთივე ოჯახი, მონაწილეების აზრით, როგორც ის ოჯახი, სადაც არის დედაც, მამაც, ბებიაც და ბაბუაც. კვლევის მონაწილეთა უმეტესობის აზრით, უპრიანია, თუ ბავშვს მიეწოდება ინფორმაცია, რომ ყველა ოჯახი არის ინდივიდუალური და შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, როგორც შემადგენლობით, ასევე რიცხოვნებით:

„რესპონდენტი 8: ახლა რა მნიშვნელობა აქვს იმ ბავშვისთვის, რომელი მშობელი ჰყავს და ვისთან ცხოვრობს, დედასთან თუ მამასთან, დაუშვავთ, თუ ცხოვრობს მამასთან და არა დედასთან, ან პირიქით, ის დედა ან მამა, რომელთან არ ცხოვრობს, ხომ მაინც დედაა ან მამაა? ...და სადაც ცხოვრობს, ისიც ხომ მისი ოჯახია?...შეიძლება სულ არ ჰყავს დედა და მამა, და ბებია და ბაბუა ზრდის, ის რა, არ არის ოჯახი?...ან შეიძლება დედა ან მამა სამუშაოდაა სადღაც წასული და ბავშვი ბებია-ბაბუასთანაა“ (ფდ N12, 91-96).

„რესპონდენტი 1: ხო, ოღონდ ისე არა, როგორც „კლიშე“, რომ ოჯახი არის ის, როცა სახლში გყავს დედაც, მამაც, ბებიაც და ბაბუაც, და ისე არის ოჯახი. შეიძლება, კაცო, დედა ცალკე ცხოვრობდეს, მამა ცალკე ცხოვრობდეს, მაგრამ მაინც ოჯახი იყოს, შეიძლება - ბებიასთან ცხოვრობდე, ბაბუასთან ცხოვრობდე, მაგრამ მაინც ოჯახი იყო. შეიძლება ერთად ცხოვრობდე და ოჯახი იყოს, შეიძლება არც იყოს“ (ფდ N11, 336-340).

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სხვადასხვა მოსწავლეების ოჯახების ერთმანეთთან შედარება, ან მოსწავლეების მშობლების ან სხვა ოჯახის წევრების პიროვნული შეფასებები:

„რესპონდენტი 4: არ უნდა მოხდეს ოჯახების შედარება, მაგალითად, ვისი კარგია და ვისი - ცუდი“ (ფდ N4, 139).

„რესპონდენტი 8: მაგალითები არ უნდა განიხილებოდეს, მათი პირადი ცხოვრება, ზოგადად ლაპარაკი უნდა იყოს...ვიღაცის პირადი ცხოვრების გარჩევა არ უნდა ხდებოდეს“ (ფდ N12, 128-130).

„რესპონდენტი 7: ნარკომანი ან ლოთი თუ ჰყავს ოჯახში, დელიკატურობაა საჭირო“ (ფდ N3, 427).

ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების უმრავლესობის აზრით, ისეთ თემებს, როგორცაა განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა და ტოლერანტობა, მოსწავლე უნდა შეეჩვიოს ადრეული ასაკიდანვე. კვლევის მონაწილეების აზრით, ეს ისეთი თემებია, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე უნდა გაითავისონ ბავშვებმა, რადგანაც მოზრდილ ასაკში და მაღალ კლასებში უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების (და ხშირ შემთხვევაში არასწორი და არატოლერანტული დამოკიდებულებების) შეცვლა ძალიან ძნელია:

„რესპონდენტი 8: საჭიროა, რა თქმა უნდა, პატარაობიდანვე უნდა მიეჩვიოს სხვის პატივისცემას, შემწყნარებლობას...“ (ფდ N12, 147-148).

„რესპონდენტი 5: რაც უფრო ადრე ისწავლის სხვის ატანას და მიღებას, ცხოვრებაც გაუადვილდება.“

რესპონდენტი 6: აბა მერე როდის?

რესპონდენტი 7: როგორც წერა-კითხვას ვასწავლით პატარაობიდანვე, ტოლერანტობასაც ეგრე უნდა“ (ფდ N3, 467-471).

„რესპონდენტი 4: მე-10 კლასში ტოლერანტობის სწავლება დაგვიანებულია. ეს ყველაფერი, პიროვნული განვითარება, ტოლერანტობა პირველივე კლასიდან უნდა მიეწოდებოდეთ, თანაც ისეთად, რომ ეს არ იყოს მარტო წაკითხული და მოყოლილი გაკვეთილი. იყოს გაგებული და გადატანილი პრაქტიკაში. ოჯახებში არ აქვთ ან შესაბამისი განათლება ან დრო, რომ ეს გააკეთონ. წინასასკოლო ასაკის პროგრამაშიც ალბათ შესაძლებელი იქნება, მაგრამ ეს ცალკე საკითხია. თანაც, ყველა არც დადის ბაღში. პირველი კლასიდან კი ეს არის აუცილებელი“ (ფდ N6, 113-119).

„რესპონდენტი 4: უნდა ვასწავლოთ ბავშვებს თავიდანვე, რომ განსხვავებულობას არ უნდა შევხედოთ ალმაცერად, უნდა ვუთხრათ, რომ ისიც ჩვენნაირია, ჩვენი მეგობარია“ (ფდ N5, 149-151).

კვლევის მხოლოდ რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ ტოლერანტობის სწავლა არ არის აუცილებელი საქართველოს სკოლებში, რადგანაც, მათი თქმით, ქართველები ისედაც ტოლერანტული ერია და ამის დამატებითი სწავლების საჭიროებას ვერ ხედავენ:

„რესპონდენტი 7: ვაპროტესტებ. არაფერი არ გვჭირდა ჩვენ ტოლერანტობის სასწავლებელი. ქართველი ერის გენეტიკაშია ტოლერანტი. მე თუ მკითხავ, ხშირ შემთხვევაში უფრო მეტი. მთელი“

ისტორიაა, დაწყებული ებრაელებიდან, რამდენი საუკუნის ისტორიას ითვლის. ჩვენში ტოლერანტობა არის. ჩვენი ძალიან ბევრი უბედურება სწორედ ტოლერანტობიდანაც გამომდინარეობს, ზედმეტად კი... ადამიანი უნდა იყოს ტოლერანტი. აქ ორი აზრი არ არსებობს“ (ფდ N1, 386-391).

კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი საუბრობს შემწყნარებლობის სწავლების აუცილებლობაზე, გამომდინარე სკოლებში არსებული პრაქტიკული საჭიროებებიდან. პედაგოგების და მშობლების ნაწილს პირადი გამოცდილებიდან მოჰყავთ მაგალითები, რომლებიც ეხება ტოლერანტობას და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობას. მათი თქმით, სკოლებში აქვს ადგილი მაგალითებს, როდესაც ვლინდება სხვა ეროვნების, აღმსარებლობის ან ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვების მიმართ გარკვეული დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, როგორც ბავშვების მხრიდან, ასევე, მოსწავლეთა მშობლების მხრიდანაც:

„რესპონდენტი 2: განსაკუთრებით მინდა შევუთხრო ტოლერანტობას. მე უშუალოდ მაქვს ამ წუთში ძალიან ცუდი ფაქტი. ვარ მეცხრე კლასის დამრიგებელი. გადმომიყვანეს ბავშვი, რომელიც დღეს მომიყვანეს პირველად. მას დაახლოებით 4-5 წლის ასაკში დაეწვა სახე. დამიჯერეთ, საშინელი შესახედაა. მეცხრეკლასელი ბავშვი ადგა და მეუბნება: მე მის გამო დავითრგუნები, ამიტომ არ მინდა, კლასში იჯდესო. ერთი კვირაა სამი მასწავლებელი ტყავში ვძვრებით იმისთვის, რომ ამ ბავშვს გაგაგებინოთ, რომ მას [სახე ვისაც დაეწვა] უფლება აქვს, იჯდეს კლასში. დაწყებით კლასებში ამის ახსნა უფრო იოლი იქნებოდა. როგორც ჩანს, ინფორმაციას ოჯახიც ვერ აწვდის სათანადო დონეზე, ამიტომ სკოლამ აუცილებლად უნდა აიღოს ეს თავის თავზე დაწყებით კლასებშივე. ძალიან ცუდ სიტუაციაში ვარ. ოთახიდან ვერ გავდივარ, რომ ამ მოსწავლემ რაიმე არ თქვას“ (ფდ N6, 21-30).

„რესპონდენტი 2: ჩვენთან რამდენიმე ერაყელი ბავშვი გადმოიყვანეს კლასში და მშობლები განიხილავენ ამ ამბავს, რა გვეშველება, ერაყელები ზიან ჩვენს ბავშვებთან ერთად. ჩვენ ხომ ჩვენი დევნილები გვყოფნის, კიდევ ერაყელები უნდა მივიღოთ? მალე ჩვენი ბავშვები ერაყულად დაიწყებენ ლაპარაკს. ვუსმენ გაცოცხლებული. ერაყულს თუ ისწავლიან უკეთესია თქო. გავოცდი, რა პრობლემები შექმნეს მშობლებმა. მგონი ჯერ მშობლების აღზრდა უნდა დავიწყოთ....“ (ფდ N14, 138-143).

„რესპონდენტი 2: ერთი ბავშვი იეღოველი იყო და მის რელიგიას რომ შეეხნენ სხვები, ბავშვი დაიჩაგრა, სახლში მივიდა და თქვა დამცინესო, და

ამას მოჰყვა ერთი ამბავი, მოვიდა მშობელი სკოლაში და გააპროტესტა და მას მერე აღარ დადის ექსკურსიებზე“ (ფდ N15, 170-172).

პედაგოგების და მშობლების დიდი ნაწილი განსაკუთრებით გამოყოფს სხვადასხვა რელიგიების მიმართ შემწყნარებლობის თემას. მათი თქმით, ისინი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ და ცდილობენ დაამკვიდრონ მოსწავლეებში სხვადასხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობა და ამისთვის იყენებენ ექსკურსიებს სხვადასხვა აღმსარებლობის ტაძარში, ისტორიულ ადგილებში, დისკუსიებს და პირად საუბრებს მოსწავლეებთან. თუმცა, ამავე დროს პედაგოგთა ნაწილი დასძენს, რომ ამ თემებზე საუბრისას, ნათლად არ იციან, რაზე უნდა ისაუბრონ და არ აქვთ შესაბამისი სახელმძღვანელო:

„რესპონდენტი 5: იყო ასეთი შემთხვევა. გაკვეთილზე ერთ ბავშვს ეკეთა ჯვარი, მეორე ბავშვს კი მუსლიმანური სამკაული. კლასში არიან ქრისტიანებიც და მუსულმანებიც. ჩვენ გაკვეთილზე რელიგიის თემას არ ვებხვით. რა საკითხიც დევს ლიტერატურაში, ვთქვათ, ისტორიული ნაწარმოები, ვსწავლობთ ჩვეულებრივად. ქრისტიანი ეკითხება მუსულმანს, შენ ჯვარი არ გიკეთიაო, კაცი არ ხარო. ქართველი ხარ და ჯვარი უნდა გეკეთოსო. თანაკლასელმა უპასუხა, ჩემს მამიკოს არ უკეთიაო. მოხდა პატარა შელაპარაკება. ეს ამბავი მოვიდა ჩემამდე, დავაკვირდი და მას ეკეთა ხელზე, ტყავში შეხვეული რაღაც ფსალმუნის მსგავსი. მივხვდი, რომ ეს არ იყო ფსალმუნი, იყო მუსულმანური რაღაც. ქრისტიან ბავშვთან მომიწია საუბარი, რომ ეს არაფერი არ არის, რომ მერე რა, რომ მისი თანაკლასელი მუსულმანია. ვუთხარი, რომ მე ვარ ქრისტიანი, მაგრამ ბებია მყავდა მუსულმანი. პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს. რელიგიის მიხედვით არ უნდა განვასხვავოთ მეგობრები, ჩვენ ვართ ადამიანები. ვესაუბრე სიყვარულზე, მეგობრობაზე, ადამიანობაზე, ურთიერთობაზე. შევახსენე, რომ ჩვენს გვერდით კლასში სწავლობს თურქი ბავშვი. ქართველი შეიძლება წავიდეს თურქეთში სასწავლებლად. ამერიკელმა შეიძლება ისწავლოს ინგლისში. ავუხსენი, რომ მე რომელი ღმერთის მწამს, ჩემი ნებაა. მთავარია, ერთმანეთს გავუგოთ და არა ის, თუ რომელ სარწმუნოებას ვემსახურებით. ყველამ ერთმანეთის სარწმუნოებას პატივი უნდა სცეს“ (ფდ N1, 420-434).

„რესპონდენტი 4: მე მყავს კლასში სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და ჩვენ ის შევძელით, მე, დამრიგებელმა, ის შევძელი, რომ ყველა ერთმანეთის რელიგიას პატივს ცემს და ერთმანეთს პატივს ცემს. ჩვენ ვიყავით წასულები, მეჩეთში. დავათვალიერეთ ქრისტიანული ეკლესიაც, ვნახეთ... ორთაჭალაშიც ვიყავით და სომხური ეკლესიაც.

სომეხიც გვყავდა, ქრისტიანიც და მუსულმანიც კლასში და ყველა ერთმანეთთან მეგობრობს და პატის ცემს“ (ფდ N7, 147-152).

„რესპონდენტი 4: სასწავლო პროცესში გვიჩვენეს ამ თემებზე საუბარი, მაგრამ არ ვიცით ზუსტად, რა უნდა ვასწავლოთ. ვასწავლით ურთიერთპატივისცემას. ვასწავლით, რომ სხვადასხვა რელიგიის ტარების გამო დისკრიმინაციას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. არ უნდა დასცინო სხვას რაღაც ფიზიკური ნაკლის გამო, ეს ხომ გამოსწორებადია და ასე შემდეგ“ (ფდ N1, 437-440).

განსაკუთრებულ აქცენტს რელიგიურ ტოლერანტობაზე აკეთებენ კვლევაში მონაწილე პედაგოგები აჭარის რეგიონიდან. მათ უმრავლესობას მოჰყავთ მაგალითები, როდესაც კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის მოსწავლეები თავს გრძნობდნენ გარიყულად და დისკომფორტში, როდესაც კონკრეტული პედაგოგი ყოველ გაკვეთილს იწყებდა ქრისტიანულ დოგმებზე საუბრითა და ლოცვებით:

„რესპონდენტი 7: ...შეიძლება ყოველი გაკვეთილი „მამაო ჩვენოთი“ დაიწყოს?

რესპონდენტი 1: არ შეიძლება. იყო შემთხვევა, როდესაც რელიგიის გაკვეთილზე მასწავლებელი საუბრობდა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. ოთხი მუსულმანი ბავშვი ადგა და საკლასო ოთახიდან გარეთ გავიდა, დატოვა გაკვეთილი.

რესპონდენტი 1: დიახ, ის ქალი ასწავლიდა მართო ქრისტიანობას, ყველა გაკვეთილს იწყებდა ამითი და ბოლოს გავიდნენ ეს ბავშვებიც“ (ფდ N1, 524-534).

კვლევაში მონაწილეთა უმეტესობას მოჰყავს შემწყნარებლობის თემაზე პოზიტიური მაგალითებიც, როდესაც მათ შვილებთან ერთად სწავლობენ სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები და ისინი მიღებული და ადაპტირებული არიან თანაკლასელებში. უფრო მეტიც, მშობლების აზრით, ეს ეხმარება მათ შვილებს გაიზარდონ უფრო ყურადღებიან და სხვაზე მზრუნველ ადამიანებად:

„რესპონდენტი 3: ჩვენ გვყავს, მაგალითად ჰიდროცეფალიით დაავადებული ბავშვი. სასტიკი შეზღუდვები აქვს და კლასში აბსოლუტურად ადაპტირებულია, ყველას უყვარს. ნაწილი მშობლების ჩიოდნენ, მაგრამ ყველამ ერთად მოვახერხეთ და დღეს ის ბავშვი მიღებულია და ყველას უყვარს.

რესპონდენტი 5: მე ერთი აზრი მაქვს და მინდა განათლების სამინისტროს მივაწოდო. ღმერთმა ყველა ჯანმრთელი ამყოფოს, მაგრამ თითო კლასში, თითო ასეთი ბენეფიციარი რომ იყოს. ის ბავშვები, ვინც მართლა ჯანმრთელია და მართლა ყველაფერი აქვს და რომ შეხედავენ იმ სხვებს, მართლა კარგი იქნება ამ ჩვენი ბავშვებისთვის“ (ფდ N13, 135-142).

„რესპონდენტი 5: ჩვენთან უნდა გადმოეყვანათ ასეთი ბავშვი სხვა კლასიდან, გავიგეთ, რომ ის იყო გონებაშეზღუდული და იყო ისეთი რეაქცია მშობლებისგან, რომ პედაგოგი გალანძღეს... ჩემს შვილს მაგის გვერდზე ვერ დავაჯენ, მაგრამ იყო კატეგორია, მაგალითად, მეც, პირიქით, მირჩვენია, ჩემმა შვილმა იგრძნოს ის რაღაცა...“ (ფდ N14, 129-132).

მთავარი საკითხი, რაშიც თანხმდებიან კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების დიდი ნაწილი არის ის, რომ საკითხის მიწოდების ფორმა თანხვედრაში უნდა იყოს ბავშვის ასაკთან და აღქმის უნართან. კვლევის მონაწილეთა უმეტესობა თვლის, რომ საკითხის მიწოდება უნდა დაიწყოს მარტივი, გასაგები მაგალითების მიწოდებით:

„რესპონდენტი 5: უნდა იმუშავო, მაგრამ რთულია.

რესპონდენტი 1: მარტივიდან უნდა დაიწყო... მაგალითად, ბავშვს რაღაც ნაკლი აქვს, ცუდად მეტყველებს, ბრეკეტები აქვს, არ უნდა დასცინო და ა.შ.“ (ფდ N1, 407-411).

„რესპონდენტი 6: ...მეც ვფიქრობ, რომ ძალიან თავისუფლად შეიძლება მაგის მიწოდება ბავშვებზეც. ზომიერი დოზით. უბრალოდ მიწოდების ფორმები უნდა იყოს გამართლებული“ (ფდ N11, 196-197).

კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ თუ მოსწავლე ადრეული ასაკიდანვე მიეჩვევა შემწყნარებლობასა და განსხვავებულობის პატივისცემას, ისინი გაიზრდებიან უფრო კეთილ, გულისხმიერ, ლალ ადამიანებად და თავის მხრივ, როცა გაიზრდებიან თვითონ შეეწინააღმდეგებიან აგრესიასა და უსამართლობას:

„რესპონდენტი 2: პატივისცემით იქნება განწყობილი სხვების მიმართ (ფდ N12, 154).

„რესპონდენტი 5: თვითონაც გაუჩნდება სურვილი, რომ იბრძოლოს აგრესიისა და ყოველივე ცუდის წინააღმდეგ.

რესპონდენტი 7: ტოლერანტობაზე და შემწყნარებლობაზე საუბარი დიდ როლს ითამაშებს ხასიათის ჩამოყალიბებაზე“ (ფდ N4, 183-186).

„რესპონდენტი 7: მაგალითად, ჩემი შვილი მე-8 კლასშია და ჰყავთ ინკლუზიური მოსწავლე, რომელიც სავარძლით მოყავთ, უკვე რვა წელია ამას უყურებენ, მოკიდებენ ხელს, თვითონ აჰყავთ დასვენებაზე, ათამაშებენ. ქუჩაში, რომ ასეთ ბავშვს დაინახავენ გაკვირვების რეაქცია აღარ აქვთ. ბავშვები ეხმარებიან ასეთს, მისთვის ეს არაფერი არ არის, მათ აქვთ ჩვეულებრივი აღქმა და უვლიან. გვყავდა ცალფეხა ბავშვი (სამწუხაროდ გარდაიცვალა), ბავშვები ყავარჯნებით ათამაშებდნენ ფეხბურთს. ბავშვები უფრო ხალასები და ალალები არიან...“ (ფდ N8, 249-255).

ტოლერანტობისა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობის თემაზე საუბრისას, პედაგოგების და მშობლების ნაწილი ახსენებს სკოლებში ბულინგის თემას. მათი აზრით, თუ ტოლერანტობის შესახებ საუბარი ადრეულ სტადიაზე დაიწყება, მაშინ ბულინგის პრობლემა მნიშვნელოვნად შემცირდება ზედა კლასებში:

„რესპონდენტი 1: ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, ჩემის აზრით. ბულინგი არის ყველა სკოლაში, ყველა საფეხურზე, დაწყებითიდან ბოლომდე, და ტოლერანტობა მგონი პირველი კლასიდან უნდა ისწავლებოდეს“ (ფდ N11, 458-460).

გენდერული თანასწორობა

ზოგადად, როგორც მასწავლებლების, ასევე მშობლების დიდ ნაწილს უჭირს საუბარი გენდერის თემაზე. პედაგოგთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ თვითონაც არ გააჩნიათ სათანადო ცოდნა და მომზადება ამ თემებზე. კვლევაში მონაწილეები თვლიან, რომ სანამ მოსწავლეებთან ისაუბრებენ გენდერის თემატიკაზე, საჭიროა, მოხდეს პედაგოგების გადამზადება და დატრენინგება ამ თემაზე:

„რესპონდენტი 5: გადამზადება თუ მოხდება, ყველაფერს ვასწავლით. ჯერ ჩვენ აღგვზარდეთ და მერე მივაწოდებთ ბავშვებს; და დღეს თუ მომცემთ ასე მოუშადადებლად, პირდაპირ გეუბნებით, გადავახტები მაგ თემას“ (ფდ N1, 328-330).

„რესპონდენტი 5: აი მიწოდების ტექნიკა გვასწავლით, გენაცვალე, და ვისწავლით.

რესპონდენტი 7: მასწავლებელმა უნდა წაახალისოს.

რესპონდენტი 1: თუ გამოვიდა ეს სახელმძღვანელო, პედაგოგი აუცილებლად უნდა გადამზადდეს“ (ფდ N1, 414-416).

„რესპონდენტი 2: მხოლოდ ჩემი წარმოდგენა მაქვს ამ თემასთან დაკავშირებით, როგორც ასეთი, მეცნიერული კუთხით განვითარებული ამ საკითხში არ ვარ, განათლება არ მაქვს“ (ფდ N1, 342-343).

კვლევაში მონაწილე რამდენიმე მშობელი თვლის, რომ დაწყებით საფეხურზე გენდერის სწავლება არ არის მისაღები. მიზეზად ისევ სახელდება ის ფაქტი, რომ ეს არის ახალი თემა და რომ თვითონაც (მშობლები) არ არიან ამ საკითხებში სათანადოდ გაცნობიერებული. შესაბამისად, თვლიან, რომ ბავშვებისთვის ეს თემა ამ ეტაპზე იქნება გაუგებარი ან ძნელად აღსაქმელი:

„რესპონდენტი 4: მე მგონია, რომ არ არის მისაღები იმიტომ, რომ გენდერი არის თემა, რომელზეც ჩვენ თვითონ ახლა დავიწყეთ საუბარი. ჩავწვდით, რა არის გენდერი, პოლიტიკაში, სოციოლოგიაში, და მე-4 კლასში გენდერით ტვინი ამოუჭედო ბავშვს, ზედმეტია“ (ფდ N11, 173-175).

კვლევაში მონაწილე რამდენიმე მონაწილეს აქვს მცდარი წარმოდგენა გენდერზე და ახდენს გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ერთმანეთში აღრევას:

რესპონდენტი 5: ჩემი პირადი აზრია, არ მქონია შეხება საახლობლოში, მაგრამ ის, რომ აფიშირება გააკეთო, თითქოს გამომწვევად, მე მაგას არ ვეთანხმები... კი, მესმის, მაგრამ ეს შენი პირადია და არ უნდა მაგას გამოხვიდე და მე ეს ვარ იბახო.

ინტერვიუერი: თქვენ განსხვავებულ ორიენტაციას გულისხმობთ გენდერში?

რესპონდენტი 5: დიახ“ (ფდ N14, 151-155).

გენდერულ თანასწორობაზე საუბრისას, კვლევის რამდენიმე მონაწილე მომხრეა, რომ „ოჯახის საქმეს“ აკეთებდეს მხოლოდ ქალი და კაცი იყოს ოჯახში მატერიალური დოვლათის შემომტანი:

„რესპონდენტი 2: მე ვერ წარმომიდგენია ჩემი მეუღლე ალაგებდეს სახლს და წამოწოლილი ვუყურებდე მე“ (ფდ N15, 258-259).

„რესპონდენტი 7: კაცს აკისრია საერთოდ ოჯახი უნდა არჩინოს და ქალმა ქალის საქმე უნდა აკეთოს და კაცმა - კაცის“ (ფდ N15, 270-271).

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ ეს თემები, გენდერი და ტოლერანტობა, უკვე აღარ არის უცხო და თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაშიც საკმაოდ ხშირად უწევთ მოსწავლეებთან ამ თემაზე ამა თუ იმ კუთხით საუბარი:

„რესპონდენტი 2: მე პირადად ასე ვფიქრობ, რომ დღეს, უკვე გლობალიზაციის ეპოქაში, საზღვრები აღარაა ჩაკეტილი და ეს უცხო

ტერმინები აღარაა ჩვენთვის. ვგულისხმობ გენდერულ თანასწორობას და ტოლერანტობას. ანუ, თუ აქამდე არ გვესმოდა ამ სიტყვების მნიშვნელობა, ეს უკვე დღეს, მგონი, ყველა ბავშვმა იცის. ჩვენი პროგრამებიც ისე არის აწყობილი, რომ ასე თუ ისე ვეხებით ამ საკითხებს. ამაზე საუბარი თითქმის ყოველ დღე გვიწევს ბავშვებთან“ (ფდ N5, 14-19).

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა აცხადებს, რომ გენდერის საკითხებზე განათლება არ გაუვლიათ, მათი უდიდესი ნაწილი მომხრეა, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ისწავლებოდეს სკოლებში ადრეული ეტაპიდანვე. მათი აზრით, ქვეყანაში, ზოგადად, დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მოჰყავთ კონკრეტული მაგალითები, როგორცაა ოჯახში მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციების არათანაბარზომიერად გადანაწილება, ოჯახური ძალადობის მომრავლებული შემთხვევები და ა.შ. კვლევის მონაწილეთა აზრით, ხშირ შემთხვევაში ამის მიზეზი არის ამ თემასთან დაკავშირებით განათლების დაბალი დონე:

„რესპონდენტი 8: უნდა იცოდეს ბავშვმა, რომ ქალი არ არის მამაკაცის მონა (იციან), ქალსაც ისეთივე უფლებები აქვს, როგორც მამაკაცს და ამისთვისაც ოჯახში უნდა იყოს ეს უფლებები, მე იმის მომხრე არ ვარ ნამდვილად, რომ ქალის საქმე ყველაფერი კაცმა უნდა აკეთოს, მაგრამ, როცა.... განაწილებული უნდა იყოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და ქალი უნდა იყოს პატივცემული... აი, ეს უნდა იყოს საგანი (იციან). უფრო ურთიერთპატივისცემა იქნება ალბათ ურთიერთობაში (ფდ N12, 22-27).

„რესპონდენტი 2: მე ვფიქრობ, რომ გენდერული უთანასწორობის ბრალია ის, რომ ამდენი ძალადობის ფაქტია საქართველოში დღეს. ვგულისხმობ ოჯახურ ძალადობას, რამდენი ქალია უკვე მოკლული მეუღლის მიერ. რესპონდენტი 6: და, დიდი ბოდიში, მაგრამ გაუნათლებლობის ბრალია ის, რომ ბევრი ფიქრობს, რატომღაც, რომ ქართული ტრადიციის თანახმად მამაკაცი ყველაზე მაღლაა“ (ფდ N4, 192-196).

„რესპონდენტი 8: გენდერული უთანასწორობის გამო ეჩვევა ბავშვი, რომ ქალი არ არის მამაკაცის თანასწორი და მას ნაკლები უფლებები აქვს. ზუსტად აქედან მოდის ეს ინერციით ის, რომ კაცს შეუძლია ყველაფერი და ქალს არ შეუძლია არაფერი“ (ფდ N12, 170-172).

„რესპონდენტი 8: ადრე უმეტესობა ადამიანებისა ფიქრობდა, რომ ქალის ფუნქცია მხოლოდ შვილების აღზრდა და სახლში ჯდომა იყო, შვილი თუ

ცული აღზრდილი გამოვიდოდა, ისიც დედის ბრალი იყო. კაცს კი საგარეო საქმეები უნდა მოეგვარებინა“ (ფდ N5, 170-172).

კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილის აზრით, კარგი იქნება, თუ ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე სასაუბროდ მასწავლებელს ექნება სპეციალური სახელმძღვანელო, სადაც თეორიული ნაწილის გარდა განხილული იქნება კონკრეტული 'ქეისები'. მათი აზრით, გაკვეთილები ამ თემაზე უნდა იყოს ინტერაქტიული ხასიათის. ზოგიერთ აქტივობებში, პედაგოგების აზრით, სასურველი იქნებოდა მშობლების ჩართვაც, რადგანაც მათაც ესაჭიროებათ გენდერის თემაზე ცოდნის ამაღლება. მათი აზრით, აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე, როგორცაა ოჯახში მოვალეობების თანაბარი გადანაწილება ქალსა და კაცს შორის, ბავშვის აღზრდის საქმეში დედისა და მამის თანაბარი მონაწილეობა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის დაუშვებლობა:

„რესპონდენტი 4: ეს არის სწორედ ის საგანი, რომელიც ქეისებით უნდა ისწავლებოდეს და ამისთვის სახელმძღვანელო უნდა იყოს ქეისებზე აგებული“ (ფდ N6, 68-69).

„რესპონდენტი 1: რა თქმა უნდა, შესაძლებელი და აუცილებელია, უნდა იცოდეს ბავშვმა, რომ ქალმა და კაცმა თანაბრად უნდა გაინაწილონ მოვალეობები ოჯახში.

რესპონდენტი 6: იგივე ბავშვის აღზრდაში მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც დედამ, ისე მამამ. აგერ მაგალითად, ჩემი მეზობლის ოჯახში მამაა დაკავებული ბავშვების აღზრდით, ყველაფერში ეხმარება ცოლს“ (ფდ N4, 215-219).

„რესპონდენტი 3: მე კიდევ ვთვლი, რომ მშობლებთან სერიოზული სამუშაოა, ხშირად დიდი წინააღმდეგობაა მათი მხრიდან. მე ვფიქრობ, რომ ბავშვებთან მუშაობის პარალელურად, საჭიროა მშობლებთან მუშაობა. უნდა იგეგმებოდეს ისეთი აქტივობები, თუ გინდათ, ტრენინგის სახით, თუ გინდათ, არ ვიცი, ნებისმიერი სახით, რომ მუშაობა მიდიოდეს მშობლებთან“ (ფდ N13, 54-57).

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილს გენდერული დისბალანსის მაგალითად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ სკოლაში პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალია და მამაკაცები ერთეულები არიან სკოლის სისტემაში დასაქმებულები და, ძირითადად, მხოლოდ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. მათი აზრით, ეს ფაქტი შეიძლება გარკვეულ სირთულეს ქმნიდეს მოსწავლეებთან გენდერული თანასწორობის შესახებ საუბრის დროს:

„რესპონდენტი 7: სკოლის მაგალითზე ამის სწავლება ცოტა გაგვიჭირდება, იმიტომ რომ დირექტორია მარტო მამაკაცი და კიდევ ერთი მასწავლებელი (იცინიან)“ (ფდ N4, 220-221).

დისკუსიებში მონაწილე მშობლებისა და მასწავლებლების ნაწილს მოჰყავს თავიანთი სასკოლო პრაქტიკიდან მაგალითები, როდესაც სკოლაში არის კონკრეტული ფაქტები გენდერულ იდენტობის აღქმასთან დაკავშირებით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საკლასო საქმიანობაში, ბიჭებსა და გოგონებს შორის, როლები ხშირად არათანაბარზომიერად არის გადანაწილებული:

„რესპონდენტი 6: ...მესამე კლასელი გოგონა მყავდა, რომელიც სულ ამბობდა რომ ”მე მინდა ვიყო ბიჭი!“ თავი გადაიპარსა, ერთმანეთთან რომ მიყავთ სტუმრად ბავშვები, ეს სულ ბიჭებთან იყო... ჩემმა შვილმა დამისვა კითხვა ”რატომაა ეს ტასია სულ ასე?“ ... გარეგნულად რომ შეხედოთ, იტყვიან, რომ ეს არის ბიჭი. აი ამ დროს რატომ არ უნდა ვუთხრათ? არიან ადამიანები, რომლებიც გოგონებად ჩნდებიან, მაგრამ უნდათ ბიჭებად ყოფნა“ (ფდ N9, 343-348).

„რესპონდენტი 4: ისე, რომ დაფიქრდე, ირღვევა გენდერული ბალანსი ახლაც, ამ პატარა ასაკში. გოგონები ალაგებენ ჯგუფს, ბიჭები კი დარბიან და ანაგვიანებენ, არავინ არაფერს არ ეუბნება. გოგონებმა უნდა დაალაგონ, ბიჭებმა კი ითამაშონ და გაერთონ, დისბალანსია, აბა რა არის ეს“ (ფდ N15, 303-306).

კვლევის მონაწილეებს მოჰყავთ მაგალითები, როდესაც მოსწავლეები არიან ოჯახებიდან, სადაც ადგილი აქვს ოჯახში გენდერულ ძალადობას. მათი თქმით, თუ ბავშვებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის აღმოფხვრაზე, დიდია შანსი, რომ შემდგომში ასეთი ბავშვები თავად გაიზარდონ მოძალადეებად:

„რესპონდენტი 5: ჩვენ, სამწუხაროდ, გვაქვს შემთხვევები, როცა ოჯახში ძალადობა ხდება და ბავშვი ამას იმეორებს. მშობელმა დამალა, მაგრამ ბავშვი ამას ამბობდა. ის ძალადობა 1 კლასელთან იყო. ბავშვი სისტემატიურად უყურებდა, მამა დედას როგორ სცემდა და ბიჭი იყო ბავშვი და აბსოლუტურად ყველა გოგოს ეს ბავშვი ისევე ურტყამდა. რა თქმა უნდა, 1 კლასის დონზე და, რა თქმა უნდა, მცირე დოზით, მაგრამ ბავშვს რომ ეცოდინება რომ არ შეიძლება ძალადობა ამიტომ, ამიტომ, ამიტომ, ზოგადად და არ ვეხებით კონკრეტულს, ნელ-ნელა მიეჩვევა, იმიტომ, რომ ამ ბავშვისთვის წარმოუდგენელი იყო რომ ძალადობა არ შეიძლებოდა“ (ფდ N6, 376-383).

„რესპონდენტი 1: ბავშვი რომ ხედავს, გოგოზე არ ვამბობ, ბიჭზე.... რომ მამა ძალადობს დედაზე, ზოგჯერ ჰგონია, რომ თვითონაც ესე უნდა მოიქცეს, თვითონაც იწყებს მერე, რომ კაცი ვარ და...“ (ფდ N12, 173-174).

პედაგოგთა კომპეტენცია და მათთვის საგნის „მე და საზოგადოება“ ჩატარების მინდობა

პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ აუცილებელია დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტების გაძლიერება. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ ეს არის ახალი საგანი, რომელშიც არის მრავალი ახალი თემა და მოითხოვს ახლებურ მიდგომებსა და სწავლების მეთოდებს. შესაბამისად, აუცილებელია მასწავლებლების გადამზადება და მათი კომპეტენციის გაძლიერება. პედაგოგები უპირატესობას ანიჭებენ გადამზადების ინტერაქტიულ მეთოდს, როგორცაა ტრენინგები, როლური თამაშები და სხვ:

„რესპონდენტი 5: იმისთვის, რომ დალაგდეს თავების მიხედვით, სისტემაში მოვიდეს, რა თქმა უნდა, სასურველი იქნება პედაგოგებმა გაიარონ გადამზადების კურსები (244-245, ქუთაისი 4).

„რესპონდენტი 3: გასაძლიერებელია იმიტომ, რომ, ჯერ ეს ერთი, საგანი აქამდე არ ისწავლებოდა, ახალია, მეორე ის, რომ ამას სჭირდება ახალი მეთოდები, რომელიც უნდა ასწავლო მასწავლებელს და ყველაზე მთავარი, ეს მისთვის არის სიახლე, ახალი მიდგომები, ახალი მეთოდებია საჭირო, როგორც ლექცია, ისე ასწავლო ეს საგანი [„მე და საზოგადოება“], არ გამოვა, ამას სჭირდება ინტერაქტიული სწავლება“ (ფდ N2, 298-302).

კვლევის მონაწილეების ნაწილი, როგორც მშობლები, ასევე პედაგოგები, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ჩატარებული გაკვეთილების ხარისხზე:

„რესპონდენტი 4: თუ ახალი პროდუქტი უნდა შევიდეს სკოლაში, უნდა შევიდეს ხარისხიანი. თუ შევიდა ასეთი პროდუქტი და ერთი მასწავლებლის შოვნა გაჭირდა, ხან ამან ჩამიტარა, ხან ანგელინამ, არ მინდა ასეთი, არ მინდა, თუ შედის და ამხელა განცხადებას ვაკეთებთ, რომ გენდერზე ვისაუბრებთ, ტოლერანტობაზე ვისაუბრებთ, მაშინ უნდა იყოს ხარისხიანი, რომ რაღაცა დაინერგოს და რაღაცა მოგვცეს ამან და არ იყოს, რომ რიგითი საგანი ჩატარდა და გათავდა“ (ფდ N11, 579-583).

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილი კარგად არის გათვითცნობიერებული საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის და წლიური პროგრამის ახლებურ დიზაინთან დაკავშირებით. პედაგოგების ნაწილი ჩართული იყო, სტანდარტის შესაბამისად, პილოტური გაკვეთილების ჩატარების პროცესში და აღნიშნავენ, რომ ამ სტანდარტით ჩატარებულმა გაკვეთილმა დიდი მოწონება დაიმსახურა მოსწავლეებში, რადგანაც რამდენიმე გაკვეთილით მათ მნიშვნელოვანი უნარები შეიძინეს ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით. გარდა ამისა, სწავლების ფორმა იყო ინტერაქტიული, სახალისო და ბავშვებისთვის ადვილად აღსაქმელი:

„რესპონდენტი 1: ამ საგნის დიზაინი ხელშემწყობია, იმიტომ რომ გაწერილია კონკრეტული თემები და თემების შინაარსი“ (ფდ N6, 509-510).

„რესპონდენტი 2: ჩვენ რაც გავიარეთ და რაც გავაკეთეთ [იგულისხმება ჯანსაღი ცხოვრების საკითხების პილოტირება სკოლებში], ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან კარგია და მისაღებია, საუკეთესოა (სხვებიც ეთანხმებიან). მე როცა ჩავატარე გაკვეთილები, ჩემს კლასში აღფრთოვანებულები იყვნენ ბავშვები, ისე ძალიან მოეწონათ. მათთვის გაკვეთილები იყო ძალიან საინტერესო. არ იყო მოსაწყენი მათთვის, პირიქით. ყველა იყო ხალისიანი, ყველას მოსწონდა და რაც მთავარია, გაკვეთილები იყო შედეგზე გამსვლელი. დასამახსოვრებელი იყო მათთვის. ძალიან ბევრი რამე ისწავლეს რამდენიმე გაკვეთილში უკვე“ (ფდ N7, 395-402).

პედაგოგების ნაწილი აცხადებს, რომ საერთოდ არ აქვთ ნანახი სტანდარტი და იციან ამის შესახებ მხოლოდ გადმოცემით და ზოგიერთ შემთხვევაში, სატელევიზიო გადაცემით. მშობლების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ აქვთ დეტალური ინფორმაცია საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის შესახებ:

„რესპონდენტი 3: როგორ გითხრათ, მე, მაგალითად, არ მაქვს ნანახი ამ სახელმძღვანელოს პროგრამა და სტანდარტი, ტელევიზიით მაქვს მოსმენილი, საინფორმაციოში იყო რამოდენიმეჯერ ამაზე საუბარი“ (ფდ N5, 185-187).

„რესპონდენტი 5: უფრო დეტალურად რომ ვიცოდეთ პროგრამა, უკეთესია.

რესპონდენტი 6: პასუხსაც უფრო გაგვემდით, ახლა მიჭირს ამაზე პასუხის გაცემა“ (ფდ N15, 138-139).

პედაგოგების უმეტესი ნაწილი აცხადებს, რომ მათ მოსწონთ და მისაღებებიან, თუ საგანში „მე და საზოგადოება“ გათვალისწინებული იქნება ისეთი თემების სწავლება, როგორცაა ოჯახი, ტოლერანტობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, პირადი ჰიგიენა,

ძალადობის პრევენცია და სხვ. კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი, განსაკუთრებით აჭარის რეგიონიდან, აღნიშნავს და იწონებს რელიგიური შემწყნარებლობის თემას:

„რესპონდენტი 3: მე, მაგალითად, ძალიან მომწონს ოჯახთან დაკავშირებული საკითხები, ძალადობასა და ბულინგთან დაკავშირებული საკითხები.

რესპონდენტი 8: პრობლემის, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული საკითხებიც მნიშვნელოვანია. საერთოდ ყველაფერი საჭიროა ბავშვისთვის, იმისთვის, რომ ჩამოყალიბდეს სოციალურად სრულფასოვანი მოქალაქე“ (ფდ N4, 237-241).

„რესპონდენტი 7: აი, მომწონს გენდერს და ტოლერანტობას რაც შეეხება (ფდ N5, 191).

„რესპონდენტი 4: ოჯახი, თემი, ჰიგიენა, ეს საკითხები რაც ჩავატარე [იგულისხმება საჩვენებელი გაკვეთილი საგნის პილოტირების დროს] არაჩვეულებრივად იყო გაწერილი და კარგად იყო ფორმულირებული“ (ფდ N6, 515-516).

„რესპონდენტი 7: ყველაზე რთული და ფაქიზი თემა აჭარის რეგიონში არის სარწმუნოება...“ (ფდ N1, 520-521)

პედაგოგების და მშობლების უმეტესობა თანხმდება, რომ საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება უნდა მიენდოს კლასის დამრიგებელს. მათი აზრით, დამრიგებელი არის მასწავლებელი, რომელიც ყველაზე უკეთესად იცნობს ბავშვებს, ასევე, იცის მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობა და იცნობს ბავშვის ოჯახის წევრებს:

„რესპონდენტი 8: სასურველია, დამრიგებელმა, იმიტომ რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურად იცის თავისი პრობლემებით, დადებითით, უარყოფითი მხარეებით და ამიტომ გამართლებულია, რომ დამრიგებელმა ასწავლოს ეს საგანი.

რესპონდენტი 4: დავამატებ, უფრო კარგად იცნობს ოჯახს და უფრო კარგად იცის ბავშვის ფსიქოლოგია“ (ფდ N4, 275-279).

„რესპონდენტი 7: იცით, რატომ უნდა შეითავსოს ეს საგანი დამრიგებელმა? ის ყოველდღიურად აწყდება პრობლემას, ხედავს და ბავშვსაც და ოჯახებსაც უკეთესად იცნობენ, იცის, ვის რა პრობლემა აქვს. აქედან გამომდინარე ვიძახი, რომ დამრიგებელი უკეთესი იქნება“ (ფდ N14, 220-223).

კვლევის თითქმის ყველა მონაწილე, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ საჭიროა დამრიგებლის გადამზადება, რათა მან სწორედ და ობიექტურად მოახდინოს საგნის სტანდარტით განსაზღვრული საკითხების მოსწავლეებთან მიტანა:

*რესპონდენტი 4: კარგი იქნება დამრიგებელი, მაგრამ ალბათ აუცილებლად დასჭირდებათ კვალიფიკაციის ამაღლება ამ კუთხით, ტრენინგების გავლა.
რესპონდენტი 3: ამ საგნის მასწავლებელი სპეციალურად უნდა იყოს მომზადებული და კარგად უნდა ერკვეოდეს თვითონ ამ საკითხებში“ (ფდ N5, 235-237).*

„რესპონდენტი 3: სათანადოდ მომზადებული პედაგოგი უნდა შევიდეს კლასში, რომელიც უფრო ღრმად იქნება ამ თემებზე ჩახედული და რაღაც სპეციფიური მიწოდება უნდა მოხდეს. თუ ამას ყველაფერს დაწყებითის მასწავლებელი, ანუ დამრიგებელი შეძლებს, თუ ის სპეციალურად გადამზადდება, მაშინ არ არის პრობლემა“ (ფდ N14, 216-219).

კვლევის მონაწილეთა მცირე ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ ამ საგნის სწავლება უნდა მიენდოს ფსიქოლოგს, რადგანაც ფსიქოლოგი კარგად ერკვევა ადამიანის ფსიქოლოგიაში, შეუძლია, უფრო ადვილად მიუდგეს ბავშვებს და გამოიხსოს მათთან საერთო ენა:

„რესპონდენტი 4: ეს გაკვეთილები, ჩემი აზრით, მასწავლებელმა არ უნდა ჩაატაროს. ეს უნდა ჩაატაროს ფსიქოლოგებმა. ისეთმა ადამიანმა, ვინც იცის ზღვარი და ნორმები, რომელ ასაკის ბავშვს რა და როგორ ესწავლება“ (ფდ N11, 357-359).

„რესპონდენტი 5: მე ვფიქრობ, ცალკე პედაგოგი უნდა ჰყავდეს „მე და საზოგადოებას“, ფსიქოლოგი, მაგალითად. ვთვლი, რომ სპეციალურად უნდა იყოს მომზადებული, სათანადოდ. დამრიგებელი ისედაც დატვირთულია, ის კიდევ იქნება სპეციალურად მომზადებული პედაგოგი და ვფიქრობ, უფრო კარგი იქნება“ (ფდ N13, 163-166).

რამდენიმე რესპონდენტი, მასწავლებლების ჯგუფიდან, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ საგნის სასწავლებლად კარგი იქნება სპეციალურად სამოქალაქო განათლების სპეციალისტის გადამზადება. თუმცა, ამავე დროს ისინი აღნიშნავენ, რომ ეს ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და გარდა ამისა, მათი აზრით, არც საჭირო ოდენობის ადამიანური რესურსი არ ჰყავს განათლების სამინისტროს სამოქალაქო განათლების კუთხით:

„რესპონდენტი 1: არ არის სწორი. მე ვარ ქართულის მასწავლებელი და დამრიგებელი და დამრიგებლის საათს ვიყენებ ქართულისთვის.

მაკლდება და ამიტომ. უნდა იყოს სპეციალური მასწავლებელი სამოქალაქო, მაგალითად, და იმან ასწავლოს“ (ფდ N6, 555-557).

„რესპონდენტი 4: შეიძლება რაღაცაში დავეთანხმო, მაგრამ ჩვენ განათლების სისტემას არ ჰყავს იმ რაოდენობით მომზადებული სამოქალაქოს სპეციალისტები, რომ ეს საგანი ასწავლონ“ (ფდ N6, 586-588).

კვლევის ძირითადი მიგნებები და დასკვნები

დამოკიდებულება საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ, როგორც კვლევის სამიზნე ჯგუფებში, ისე საზოგადოებაში

ძირითადი მიგნებები

გამოკითხულ პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ მოსწავლეთა აღზრდის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს საგნით „მე და საზოგადოება“ გათვალისწინებული ისეთი თემების სწავლებას, როგორცაა ოჯახი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, გენდერული თანასწორობა და შემწყნარებლობა. კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ ბავშვები ისედაც ინტერესდებიან ამ საკითხებით და თვითონაც მოიძიებენ ამ თემებს ინტერნეტის და მედიასაშუალებებით. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, გადაუმოწმებელი ინფორმაციის მოპოვებას ჯობია, რომ ბავშვებს აღნიშნულ თემებზე მიეწოდოთ გადამოწმებული და სანდო ინფორმაცია სკოლებში.

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების დიდი ნაწილი თანხმდება, რომ აღნიშნულ საკითხებზე საუბარი მისაღებია სკოლაში. უმეტესობის აზრით, ბავშვებისთვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს გათვლილი მათ ასაკზე და შესაბამისად უნდა იყოს ადაპტირებული. ამ პროცესში მშობლების ჩართულობაზე აკეთებს აქცენტს გამოკითხული პედაგოგების დიდი ნაწილი. გამოკითხული მშობლების დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მშობლების უმეტესობას არ აქვს სახლში იმის დრო, რომ ესაუბრონ შვილებს ამ თემებზე. დროის ფაქტორის გარდა მშობლები აღნიშნავენ, ასევე, ამ თემებზე საუბრის კომპეტენციის ნაკლებობასაც.

გამოკითხული მშობლები, ასევე, პედაგოგებიც, აღნიშნავენ, რომ საჭიროა, მასწავლებელს, რომელიც ამ თემებზე მიაწოდებს ბავშვებს ინფორმაციას, ჰქონდეს სათანადო ცოდნა და კომპეტენცია.

პედაგოგთა და მშობელთა უმრავლესობის აზრით, დაწყებითი საფეხურის ბაზაზე სხვადასხვა საგნებში ზემოთ აღნიშნული საკითხები არასათანადოდ ან საერთოდ არ არის ასახული.

გამოკითხული მშობლებისა და მასწავლებლების დიდი ნაწილი თვლის, რომ რაც ადრე დაიწყება ამ თემებზე საუბარი, მით მეტია იმის შანსი, რომ ბავშვებს კარგად გაუგდეთ და გაჰყვით მთელი ცხოვრების მანძილზე ისეთი უნარ-ჩვევები, როგორცაა ჯანსაღი კვება, პირადი ჰიგიენა, კანონმორჩილება, სხვებისადმი პატივისცემა და სხვ.

გამოკითხული პედაგოგების აზრით, ამ საგნის სწავლება ადრეული ასაკიდან ბავშვებს მისცემს საშუალებას, გამოუმუშავდეთ საზოგადოებაში ადეკვატური ქცევის ჩვევები, კონფლიქტების არიდებისა და მშვიდობიანად მოგვარების უნარები. როგორც მასწავლებლების, ასევე პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ პიროვნული განვითარებისა და სოციალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევების სწავლება აუცილებელია ადრეული ასაკიდანვე. რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, მსგავს თემებზე საუბარი ადრეული ეტაპიდანვე ქმნის კეთილსაიმედო გარემოს, რომ ახალგაზრდა აღიზარდოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ, რომელსაც ექნება მაღალი სამოქალაქო შეგნება და რომელიც იზრუნებს ირგვლივ მყოფებზე.

ზოგიერთი პედაგოგი და მშობელი უფრო შორსაც მიდის და ფიქრობს, რომ რიგ თემებზე უფრო ადრეულ (სკოლამდელ) ასაკშიც კი უნდა დაიწყოს საუბარი. ასეთ თემებად მიიჩნევენ უფროსებისა და თანატოლების პატივისცემას, სისუფთავის დაცვა, გარემოს დანაგვიანების თავიდან აცილებას და სხვ.

ფოკუსირებულ დისკუსიებში მონაწილე მხოლოდ ერთი მშობელი აღმოჩნდა ახალი საგნის დამატების წინააღმდეგი და ამის მიზეზად დაასახელა ბავშვების (კონკრეტულად, თავისი შვილის) გადატვირთვა და გადაღლა.

კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ეს საგანი იქნება კარგი ბაზა შემდგომში საგნის „ჩემი საქართველო“ სწავლებისათვის. პედაგოგთა და მშობელთა აზრით, „მე და საზოგადოება“ მოამზადებს ადრეული საფეხურის მოსწავლეებს უფრო რთული საკითხების დასაძლევად. პედაგოგთა უმეტესობის აზრით, მასწავლებლებსაც გაუადვილდებათ მაღალ კლასებში გარკვეულ თემებზე საუბარი და ინფორმაციის მიწოდება.

გამოკითხული პედაგოგებისა და მშობლების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ საგნის „მე და საზოგადოება“ მიმართ გაჩენილი არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, არის ამ საგანთან დაკავშირებით საზოგადოების არასაკმარისი ინფორმირებულობა.

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილის (მშობლების და პედაგოგების) აზრით, მოხდა ამ თემის პოლიტიზირება და მისი რელიგიურ ასპექტებში გადატანაც კი. გარდა ამისა, მათი აზრით, თავის მხრივ, უარყოფითი როლი ითამაშა მედიასაშუალებებმაც, რომლებმაც არასაკმარისად და ზოგჯერ, მიკერძოებულად გააშუქეს ამ საგანთან დაკავშირებული საკითხები. კვლევის მონაწილეთა ნაწილი თვლის, რომ საპატრიარქო ზედმეტად ჩაერია განათლების სამინისტროს კომპეტენციებში, რადგანაც საუბარია საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაზე და არა საპატრიარქოსადმი დაქვემდებარებულ სკოლებზე. პედაგოგების ნაწილმა, ასევე,

აღნიშნა განათლების სამინისტროს არასაკმარისად აქტიური პოზიცია და ამ საკითხზე საზოგადოებასთან ურთიერთობების ნაკლებობა.

პედაგოგების ნაწილმა აღნიშნა, რომ გარკვეული გაუგებრობა იყო თვითონ პედაგოგებს შორისაც, რადგანაც მათ არ იცოდნენ კარგად, თუ რაზე იყო საუბარი და რას მოიაზრებდა ეს საგანი საერთოდ. ის პედაგოგები, რომლებიც ჩართული იყვნენ საგნის პილოტირების პროცესში, აცხადებენ, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გააკრიტიკეს კოლეგა პედაგოგებმა, რომლებიც არ იყვნენ ჩართული ამ პროცესში და საერთოდ არ იცოდნენ, რას მოიაზრებდა ეს საგანი. თუმცა, პედაგოგების ნაწილის თქმით, იყო შემთხვევები, როდესაც პირიქით, კოლეგები მათ თხოვდნენ დამატებითი ინფორმაციის და მასალების გაზიარებას, რათა მათაც შეძლებოდათ მსგავსი ინფორმაციის გაზიარება მოსწავლეებისთვის და მსგავსი გაკვეთილების ჩატარება.

რამდენიმე პედაგოგი და მასწავლებელი ამ საგნისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად ასახელებს შიშს უცხო და ახალი თემების მიმართ. მათი თქმით, ყოველივე ახალი აღიქმება, როგორც საფრთხე ტრადიციული ღირებულებების მიმართ.

დასკვნები

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები გამოხატავენ ბუნებრივ ინტერესს იმ საკითხების მიმართ, რაც, სავარაუდოდ, შეტანილი შეიძლება იყოს საგანში „მე და საზოგადოება“ (ოჯახი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ტოლერანტობა და სხვ.) და განიხილავენ ამ საკითხებს თავიანთ თანატოლებთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლების დაწყება სკოლებში დაწყებით საფეხურზე, რომ მოხდეს მოსწავლეებისთვის გადამოწმებული და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება აღნიშნულ თემებზე.

საგნის „მე და საზოგადოების“ სწავლებისას თემების და ინფორმაციის მიწოდება ბავშვებისთვის სასურველია, მოხდეს მათი ასაკისა და აღქმის უნარის გათვალისწინებით.

დაწყებით საფეხურზე საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება ქმნის საფუძველს, რომ მოსწავლეს გამოუმუშავდეს პიროვნული განვითარებისა და სოციალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევები, რაც დაეხმარება მას მოზრდილ ასაკში ჩამოყალიბდეს მაღალი სამოქალაქო შეგნების მქონე პიროვნებად.

საგანი „მე და საზოგადოება“ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ხელსაყრელი საფუძველი შემდგომში, ზედა კლასებში, საგნის „ჩემი საქართველოს“ სწავლებისათვის.

საზოგადოებაში გაჩენილი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საგანთან „მე და საზოგადოება“ დაკავშირებით სავარაუდოდ დაკავშირებულია ინფორმაციის ნაკლებობასთან. მედიასა და ინტერნეტსაშუალებებში საგანთან დაკავშირებით ვრცელდებოდა დაუზუსტებელი და ტენდენციური ინფორმაცია და რიგ შემთხვევებში ხდებოდა საკითხების პოლიტიკურ და რელიგიურ ჭრილში გადაყვანა.

საკმაოდ მწირი ინფორმაცია აქვთ აღნიშნული საგნის სტანდარტზე თვითონ პედაგოგებს. ის პედაგოგები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგნის პილოტირების პროცესში და ჩატარებული აქვთ გაკვეთილები სტანდარტით გათვალისწინებული სცენარების მიხედვით, გაცილებით უკეთესად არიან ინფორმირებულები.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყების ოპტიმალური საფეხური

ძირითადი მიგნებები

კვლევის მონაწილეების უმრავლესობას მართებულად მიაჩნია საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყება მე-3 კლასიდან (ნაცვლად მე-5 კლასისა). მათი თქმით, ამ ასაკში ბავშვები ისედაც ინტერესდებიან იმ თემებით, რასაც ეს მეცნიერებები მოიაზრებენ და საუბრობენ ერთმანეთში ამ საკითხებზე. ბავშვები ინფორმაციას მოიძიებენ ინტერნეტიდან და მედიასაშუალებებიდან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მათ ინტერესებს და მსჯელობებს მიეცეთ სწორი მიმართულება და კომპეტენტური პასუხები გაეცეს მათ უკვე არსებულ კითხვებს.

პედაგოგთა უმრავლესობის აზრით, ზუსტად სკოლის დაწყებით საფეხურზე ხდება პიროვნების ჩამოყალიბება და შესაბამისად, ზუსტად ამ პერიოდშია გამართლებული მათთან საუბარი და ინფორმაციის მიწოდება. უფროს კლასებში ბავშვებს უკვე სხვა ინტერესები, ჩამოყალიბებული ქცევები და დამოკიდებულებები აქვთ და მათი შეცვლა უკვე მეტად ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც.

მშობელთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ მათ არ აქვთ დრო და სათანადო ცოდნა, რომ ესაუბრონ თავიანთ შვილებს ამ თემებზე (საზოგადოებრივი მეცნიერებებით გათვალისწინებული საკითხები) სახლში.

მშობელთა და პედაგოგთა ნაწილი უფრო შორს მიდის და აღნიშნავს, რომ ამ თემებზე საუბარი მე-3 კლასიდან კი არა, არამედ უფრო ადრეც უნდა დაიწყოს. მათი თქმით, უნდა მოხდეს იმის გათვალისწინება, რომ ინფორმაცია ადაპტირებული და ასაკის შესაფერისად მიწოდებული.

კვლევაში მონაწილეთა დიდი ნაწილის აზრით, საზოგადოებრივი მეცნიერებების ადრეულ ასაკშივე სწავლება დადებითად იმოქმედებს შემდგომში ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე და გამოუმუშავებს ისეთ თვისებებს, როგორცაა ტოლერანტობა, ემპათია, სოციალური პასუხისმგებლობა და, ზოგადად, ნაკლები აგრესია იქნება საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ.

პედაგოგების ნაწილი თვლის, რომ მსგავსი საგნების და მიმართულებების მნიშვნელობა კარგად უნდა განემარტოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებსაც, რომ კითხვები არ დარჩეს პასუხის გარეშე და მშობლებიც ჩართულები იყვნენ ბავშვების განათლების პროცესში.

დასკვნები

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყება გამართლებულია მე-3 კლასიდან, რადგანაც ეს მეცნიერებები პიროვნული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ადრეულ ეტაპზე ჩამოყალიბებული სწორი ქცევები და დამოკიდებულებები ქმნის ხელსაყრელ საფუძველს, რომ ახალგაზრდა გაიზარდოს ტოლერანტულ, ემპათიის უნარის მქონე და მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ.

აღსანიშნავია, რომ ბავშვები საზოგადოებრივი მეცნიერებებით გათვალისწინებული თემების შესახებ ინფორმაციას სრულყოფილად ვერ იღებენ ოჯახებიდან, რადგანაც მშობლებს, ხშირ შემთხვევაში, არ ყოფნით კომპეტენცია, ისაუბრონ შესაბამის თემებზე და/ან არ გააჩნიათ ამისთვის დრო. საზოგადოებრივი მეცნიერებებით გათვალისწინებული საგნების მნიშვნელობა და შინაარსი კარგად უნდა განემარტოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებს.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ მოსწავლეებს დაწყებით საფეხურზე უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. მათი აზრით, ქცევის დასწავლა და განმტკიცება (მათ შორის ცხოვრების ჯანსაღი წესის) სწორად ადრეულ ასაკში ხდება და რაც ადრე დაიწყება ამ თემაზე საუბარი, მით მეტი ეფექტი იქნება მიღებული მომავალში. მათი თქმით, მთავარია, ასაკის შესატყვის ენაზე იქნას მიწოდებული ინფორმაცია.

პირადი ჰიგიენის დაცვა, სწორი კვება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სპორტული აქტივობები, დასვენებისა და შრომის სწორი გადანაწილება - ეს არის ის ძირითადი თემები, რომელსაც კვლევაში მონაწილეების უმრავლესობა მოიაზრებს ცხოვრების ჯანსაღი წესის ქვეშ სკოლის დაწყებით საფეხურზე.

კვლევაში მონაწილე პედაგოგების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ თავიანთი პრაქტიკიდან და დაკვირვებებიდან გამომდინარე ხედავენ იმის საჭიროებას, რომ თავიანთ აღსაზრდელებს ესაუბრონ ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ. პედაგოგების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხშირად ოჯახში ბავშვებს არ ესაუბრებიან ჯანსაღი ცხოვრების წესზე და ჯანმრთელობის საკითხებზე. აქედან გამომდინარე, სკოლას ეკისრება დიდი პასუხისმგებლობა, რომ აღსაზრდელებმა მიიღონ სათანადო ინფორმაცია ამ თემაზე.

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების დიდი უმრავლესობა თანხმდება, რომ ბავშვებთან ცხოვრების ჯანსაღ წესზე საუბარი უნდა წარმოებდეს სტრუქტურირებული სახით. მათი თქმით, სასურველია, ჩატარდეს ინტერაქტიული გაკვეთილები, როლური თამაშების, აუდიო-ვიდეო და ვიზუალური მასალების მაქსიმალური გამოყენებით. მასწავლებლებისა და მშობლების აზრით, ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს ბავშვს გამარტივებულ, მისთვის გასაგებ ენაზე.

პედაგოგების დიდი ნაწილი თვლის, რომ მათ უნდა მიეცეთ ზუსტი და დეტალურად გაწერილი ინსტრუქცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა თემებზე და როგორ უნდა ჩატარდეს გაკვეთილი ცხოვრების ჯანსაღ წესზე. კვლევის მონაწილეთა აზრით, ამ თემებზე საუბრისას მასწავლებლებმა უნდა დაიცვან დელიკატურობა, მაგალითად, როცა საუბარია ჭარბ კვებაზე და ჭარბ წონაზე და ა.შ., რომ უნებლიედ არ მოხდეს რომელიმე ბავშვის ღირსების შელახვა. რამდენიმე მონაწილე აღნიშნავს, რომ კარგი იქნება, თუ ბავშვებთან ჯანმრთელობის თემებზე სასაუბროდ ჩაერთვებიან სკოლის ექიმებიც.

დასკვნები

მოსწავლეებისთვის ცხოვრების ჯანსაღ წესზე ინფორმაციის მიწოდება სასურველია დაიწყოს სწავლების დაწყებით საფეხურზე, რათა დროულად მოხდეს შესაბამისი უნარ-ჩვევების შექმნა და განმტკიცება.

პირადი ჰიგიენის დაცვა, სწორი კვება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სპორტული აქტივობები, დასვენებისა და შრომის სწორი გადანაწილება მიიჩნევა იმ საკითხებად, რომლებზეც უნდა გაკეთდეს ძირითადი აქცენტი ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლების დროს.

ცხოვრების ჯანსაღ წესზე გაკვეთილის ჩატარებისას უპირატესობა ენიჭება სწავლების ინტერაქტიულ მეთოდებს როლური თამაშებით, დისკუსიებით, აუდიო-ვიდეო და სხვა ვიზუალური მასალების გამოყენებით. ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს სტრუქტურირებული, წინასწარ შემუშავებული მეთოდის საფუძველზე და ბავშვის ასაკიდან გამომდინარე.

ოჯახი

ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე მშობლებისა და პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა თანხმდება, რომ ისეთი საკითხი, როგორცაა ოჯახი, უნდა ისწავლებოდეს დაწყებით საფეხურზე. კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ ამ თემის ადრეულ ეტაპზე სწავლება საშუალებას მოგვცემს, თავი ავარიდოთ მრავალ პრობლემას, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს უფრო მოზრდილ ასაკში, როგორცაა ადრეული ქორწინება, ოჯახის დანგრევა, მამების ნაკლები ჩართულობა ბავშვის აღზრდის საქმეში, ოჯახში ძალადობა, როლების არათანაბარზომიერი და უსამართლო გადანაწილება ოჯახის შიგნით და სხვ.

კვლევაში მონაწილე მხოლოდ რამდენიმე პედაგოგი აცხადებს, რომ ოჯახის ცნება სკოლაში არ უნდა ისწავლებოდეს. ამის არგუმენტად მათ მოჰყავთ ის, რომ, ეს არ არის პედაგოგის მოვალეობა და რომ ამაზე საუბარი უნდა ხდებოდეს ბავშვის ოჯახში და არა სკოლაში.

კვლევის მონაწილეების აზრით, ოჯახზე საუბრის დროს, ყურადღება უნდა მიექცეს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემას, უფროსების დაფასებას, საქმიანობის სამართლიან გადანაწილებას ოჯახის შიგნით, მამებისა და დედების თანაბარ მონაწილეობას ბავშვის აღზრდის საქმეში.

კვლევის მონაწილეები ასახელებენ სხვადასხვა საგნებს, სადაც შეიძლება მოხდეს ამ საკითხის განხილვა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სახელდება „მე და საზოგადოება“, ჰუმანიტარული საგნები, სადამრიგებლო გაკვეთილი. უმეტესობა თანხმდება, რომ ოჯახი იმდენად ფართო ცნებაა, რომ გადანაწილებული უნდა იყოს სხვადასხვა საგნობრივ ჯგუფებში.

ოჯახის თემაზე საუბრის აუცილებლობასთან ერთად კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ აუცილებელია გარკვეული სიფრთხილე, რათა არ მოხდეს უნებლიედ ბავშვისთვის ტკივილის მიყენება. ლაპარაკია ისეთ სიტუაციებზე,

როდესაც ბავშვს არ ჰყავს მშობლები ან რომელიმე მშობელი, ან დედ-მამა გაშორებულია.

ამავე დროს, კვლევის მონაწილეების დიდი ნაწილი თვლის, რომ თემის სწორად და კორექტულად განხილვის შემთხვევაში, უარყოფითი მომენტები დაყვანილი იქნება მინიმუმამდე. ამისთვის საჭიროა, არ მოხდეს კონკრეტული ოჯახების განხილვა და მითუმეტეს განსჯა, მაგალითების მოყვანა მოხდეს ზოგადად და არა მოსწავლეთა ოჯახის წევრების მაგალითზე. კვლევის მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს სხვადასხვა მოსწავლეების ოჯახების ერთმანეთთან შედარება, ან მოსწავლეების მშობლების ან სხვა ოჯახის წევრების პიროვნული შეფასებები.

კვლევის მონაწილეთა აზრით, ასევე, მნიშვნელოვანია „კლიშეებისგან“ გათავისუფლება. მათი აზრით, ოჯახი შეიძლება იყოს ორსულიანიც და ექვსულიანიც, შეიძლება ოჯახში იყოს წარმოდგენილი ერთი მშობელი ან ორივე მშობელი, ზოგ ოჯახში არის მარტოხელა დედა ან მარტოხელა მამა და ეს არის ისეთივე ოჯახი, როგორც ის, სადაც არის დედაც, მამაც, ბებიაც და ბაბუაც. კვლევის მონაწილეთა აზრით, უპრიანია, თუ ბავშვს მიეწოდება ინფორმაცია, რომ ყველა ოჯახი არის ინდივიდუალური და შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, როგორც შემადგენლობით, ასევე რიცხოვნებით.

დასკვნები

ოჯახის თემის სწავლება დაწყებით საფეხურზე ხელსაყრელ გარემოს ქმნის შემდგომში მყარი და ჰარმონიული ოჯახის ჩამოყალიბების კუთხით და შეიძლება გახდეს ოჯახური ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმი.

ოჯახის თემებზე საუბრის დროს ყველაზე მნიშვნელოვან თემებად სახელდება ოჯახის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემა, ოჯახში ძალადობის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობა, უფროსი თაობის დაფასება, საოჯახო საქმიანობის თანაბარზომიერი და სამართლიანი გადანაწილება ოჯახის შიგნით, მამების და დედების თანაბარი მონაწილეობა ბავშვის აღზრდის საქმეში.

გაკვეთილზე ოჯახის თემების საუბრისას გასათვალისწინებელია თითოეული ბავშვის ოჯახური მდგომარეობა, რომ უნებლიედ არ მოხდეს ბავშვის ღირსების ან პირადი გრძნობების შელახვა. ასევე, დაუშვებელია მოსწავლეთა ოჯახების ერთმანეთთან შედარება ან მოსწავლეთა ოჯახის წევრების და ოჯახური მდგომარეობების განხილვა.

ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა

ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილე პედაგოგებისა და მშობლების უმრავლესობის აზრით, ისეთ თემებს, როგორცაა განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობა და ტოლერანტობა, მოსწავლე უნდა შეეჩვიოს ადრეული ასაკიდანვე. კვლევის მონაწილეების აზრით, ეს ისეთი თემებია, რომლებიც ადრეული ასაკიდანვე უნდა გაითავისონ ბავშვებმა, რადგანაც მოზრდილ ასაკში და მაღალ კლასებში უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების (და ხშირ შემთხვევაში არასწორი და არატოლერანტული დამოკიდებულებების) შეცვლა ძალიან ძნელია.

კვლევის მონაწილეების ნაწილი საუბრობს ამ თემის სწავლების აუცილებლობაზე, გამომდინარე სკოლებში არსებული პრაქტიკული საჭიროებებიდან. კვლევაში მონაწილეთა უმეტესობას მოჰყავს მაგალითები, როდესაც მათ შვილებთან ერთად სწავლობენ სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვები და ისინი მიღებული და ადაპტირებული არიან თანაკლასელებში. უფრო მეტიც, მშობლების აზრით, ეს ეხმარება მათ შვილებს, გაიზარდონ უფრო ყურადღებიან და სხვებზე მზრუნველ ადამიანებად. ამავე დროს, სკოლებში არის მაგალითები, როდესაც ვლინდება სხვა ეროვნების, აღმსარებლობის ან ფიზიკური დეფექტის მქონე ბავშვების მიმართ გარკვეული დისკრიმინაციული დამოკიდებულებები, როგორც ბავშვების (უფრო მაღალ კლასებში) მხრიდან, ასევე მოსწავლეთა მშობლების მხრიდანაც.

კვლევაში მონაწილე პედაგოგები აჭარის რეგიონიდან რელიგიურ ტოლერანტობაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ. მათ მოჰყავთ მაგალითები, როცა კონკრეტული რელიგიური აღმსარებლობის მოსწავლეები თავს გრძნობდნენ გარიყულად და დისკომფორტში, როდესაც კონკრეტული პედაგოგი ყოველ გაკვეთილს იწყებდა მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის დოგმებზე საუბრითა და ლოცვებით.

პედაგოგების და მშობლების დიდი ნაწილი განსაკუთრებით გამოყოფს სხვადასხვა რელიგიების და ეროვნებების მიმართ შემწყნარებლობის თემას. მათი თქმით, ისინი პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამენ და ცდილობენ, დაამკვიდრონ მოსწავლეებში სხვადასხვა რელიგიების მიმართ ტოლერანტობა და ამისთვის იყენებენ ექსკურსიებს სხვადასხვა აღმსარებლობის ტაძარში, ისტორიულ ადგილებში, დისკუსიებს და პირად საუბრებს მოსწავლეებთან. განსაკუთრებულ აქცენტს რელიგიურ ტოლერანტობაზე აკეთებენ კვლევაში მონაწილე პედაგოგები აჭარის რეგიონიდან. პედაგოგების უმეტესობა აღნიშნავს პრაქტიკული სახელმძღვანელოს ან გზამკვლევის

არსებობის საჭიროებას, რაც მნიშვნელოვნად გაუადვილებს მათ მოსწავლეებთან ამ თემებზე საუბარს.

მთავარი საკითხი, რაშიც თანხმდებიან პედაგოგებიც და მშობლებიც არის საკითხის მიწოდების ფორმა და ასაკთან შესაბამისობა. უმეტესობა თვლის, რომ საკითხის მიწოდება უნდა დაიწყოს მარტივი და გასაგები მაგალითების მიწოდებით.

კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ თუ მოსწავლე ადრეული ასაკიდანვე მიეჩვევა შემწყნარებლობას და განსხვავებულობის პატივისცემას, ისინი გაიზრდებიან უფრო კეთილ, გულისხმიერ, ლალ ადამიანებად და თავის მხრივ, როცა გაიზრდებიან თვითონ შეეწინააღმდეგებიან აგრესიასა და უსამართლობას.

პედაგოგების და მშობლების ნაწილი ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის თემას უკავშირებს სკოლებში ბულინგის საკითხს. მათი აზრით, თუ ტოლერანტობის შესახებ საუბარი ადრეულ სტადიაზე დაიწყება, მაშინ ბულინგის პრობლემა მნიშვნელოვნად შემცირდება ზედა კლასებში.

დასკვნები

იკვეთება იმის პრაქტიკული საჭიროება, რომ განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობის, ანუ ტოლერანტობის თემა ისწავლებოდეს სკოლაში დაწყებით საფეხურზე. სკოლებში კვლავ არსებობს საშიშროება, რომ მოხდეს მოსწავლის დისკრიმინაცია განსხვავებული რელიგიის, ეთნიკურობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით.

განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის სწავლება სკოლის დაწყებით საფეხურზე ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს იმისათვის, რომ ბავშვი აღიზარდოს კეთილ, ემპათიურ, სხვისი აზრის პატივისმცემელ ადამიანად, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს საზოგადოებაში აგრესიის დონის შემცირებას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არის მრავალეთნიკური ქვეყანა, სადაც მრავალი განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს, მიზანშეწონილი არ არის სკოლებში მიზანმიმართულად ხდებოდეს რომელიმე ერთი რელიგიის პროპაგანდა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოსწავლეთა დისტანცირება თანატოლებისაგან და, საბოლოო ჯამში, საზოგადოებისაგან გარიყვა.

გენდერული თანასწორობა

ძირითადი მიგნებები

კვლევაში მონაწილეთა უმეტესი ნაწილი მომხრეა, რომ ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ისწავლებოდეს სკოლებში ადრეული ეტაპიდანვე. მათი აზრით, ქვეყანაში ზოგადად დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მოჰყავთ კონკრეტული მაგალითები, როგორცაა ოჯახში მამაკაცსა და ქალს შორის ფუნქციების არათანაბარზომიერად გადანაწილება, ოჯახური ძალადობის მომრავლებული შემთხვევები, და ა.შ. პედაგოგების და მშობლების ნაწილს გენდერული დისბალანსის მაგალითად მოჰყავთ, ასევე, ის ფაქტი, რომ სკოლაში პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალია. სკოლის სისტემაში ერთეული მამაკაცები არიან დასაქმებულები და, ძირითადად, მხოლოდ ხელმძღვანელ თანამდებობებზე. კვლევის მონაწილეთა აზრით, ხშირ შემთხვევაში გენდერული უთანასწორობის მიზეზი არის განათლების დაბალი დონე ამ თემასთან დაკავშირებით.

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილის აზრით, ეს თემები - გენდერი და ტოლერანტობა, უკვე აღარ არის უცხო და თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკაშიც უწყვეტ მოსწავლეებთან ამ თემაზე ამა თუ იმ კუთხით საუბარი, თუმცა, რამე სპეციალური ლიტერატურა მასწავლებლებისთვის არ მიუწოდებიათ და არც გადამზადება/ტრენინგი ამ თემაზე არ გაუვლიათ.

კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილის აზრით, კარგი იქნება, თუ ამ თემებზე სასაუბროდ მასწავლებელს ექნება სპეციალური სახელმძღვანელო, სადაც, თეორიული ნაწილის გარდა, განხილული იქნება კონკრეტული შემთხვევები. მათი აზრით, გაკვეთილები ამ თემაზე უნდა იყოს ინტერაქტიული ხასიათის. ზოგიერთ აქტივობებში, პედაგოგების აზრით, სასურველი იქნებოდა მშობლების ჩართვაც, რადგანაც კვლევის მონაწილეების აზრით, მათაც ესაჭიროებათ გენდერის თემაზე ცოდნის ამაღლება. მათი აზრით, აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე, როგორცაა ოჯახში მოვალეობების თანაბარი გადანაწილება ქალსა და კაცს შორის, ბავშვის აღზრდის საქმეში დედისა და მამის თანაბარი მონაწილეობა და გენდერულ ნიადაგზე ძალადობის დაუშვებლობა.

რამდენიმე მშობელი თვლის, რომ დაწყებით საფეხურზე გენდერის სწავლება არ არის მისაღები. მიზეზად ისევ სახელდება ის ფაქტი, რომ ეს არის ახალი თემა და რომ თვითონაც (მშობლები) არ არიან ამ საკითხებში სათანადოდ გათვითცნობიერებული. შესაბამისად, მათი აზრით, ბავშვებისთვის ეს თემა ამ ეტაპზე იქნება გაუგებარი ან ძნელად აღსაქმელი.

კვლევის მონაწილეთა ნაწილს აქვს მცდარი წარმოდგენა გენდერზე ზოგადად, ხდება გენდერისა და სექსუალური ორიენტაციის თემების ერთმანეთში აღრევა. რამდენიმე მონაწილე თავად იმყოფება გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენის ქვეშ და მომხრეა, რომ „ოჯახის საქმეს“ აკეთებდეს მხოლოდ ქალი და კაცი იყოს ოჯახში მატერიალური დოვლათის შემომტანი.

მშობლების და მასწავლებლების ნაწილს მოჰყავს მაგალითები თავიანთი სასკოლო პრაქტიკიდან, როდესაც შეინიშნება საკლასო საქმიანობაში (მაგალითად, ოთახის დალაგება, სისუფთავის დაცვა) ბიჭებსა და გოგონებს შორის როლების არათანაბარზომიერი გადანაწილებისა. მოჰყავთ, ასევე, მაგალითები, როდესაც მოსწავლეს აქვს გენდერული იდენტობის აღქმასთან დაკავშირებული სირთულეები და სხვ.

დასკვნები

ზოგადად, ქვეყანაში დგას გენდერული დისბალანსის პრობლემა (ოჯახში გენდერული ძალადობის მომატებული შემთხვევები, ქალსა და მამაკაცს შორის საოჯახო საქმის უსამართლო და არათანაბარზომიერი განაწილება, მამების ნაკლები ჩართულობა ბავშვის მოვლისა და აღზრდის საქმეში და სხვ.), რისი მიზეზიც ხშირ შემთხვევაში შეიძლება იყოს გენდერის თემატიკაზე განათლების დაბალი დონე. გენდერული უთანასწორობის მაგალითებს კვლევის მონაწილეები უხვად ასახელებენ, როგორც ოჯახის, ასევე სკოლის პირობებში.

მასწავლებლებს ამა თუ იმ სახით უწევთ მოსწავლეებთან გენდერის თემაზე საუბარი. პედაგოგები მიესალმებიან, თუ გენდერის თემაზე მათ მიეწოდებათ სახელმძღვანელო და ჩაუტარდებათ დამატებითი ტრენინგები, რაც მათ საშუალებას მისცემს, უფრო კვალიფიციურად ესაუბრონ ამ თემატიკაზე თავიანთ აღსაზრდელებს.

დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მშობლებში აღინიშნება ინფორმაციისა და ცოდნის დეფიციტი გენდერის თემასთან მიმართებაში. ზოგ შემთხვევაში, მშობლები თვითონ იმყოფებიან გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენის ქვეშ. გენდერის და სექსუალური ორიენტაციის საკითხები, ხშირად ერთმანეთთან არის გაიგივებული, რაც ცოდნის და ინფორმირებულობის ნაკლებობაზე მიუნიშნებს.

პედაგოგთა კომპეტენცია და მათთვის საგნის „მე და საზოგადოება“ ჩატარების მინდობა

ძირითადი მიგნებები

პედაგოგების აბსოლუტური უმრავლესობა თვლის, რომ აუცილებელია დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტების გაძლიერება. ამის მიზეზად ისინი ასახელებენ იმას, რომ „მე და საზოგადოება“ არის ახალი საგანი, რომელშიც არის მრავალი ახალი თემა და ის მოითხოვს ახლებურ მიდგომებსა და სწავლების მეთოდებს. შესაბამისად, აუცილებელია მასწავლებლების გადამზადება და მათი კომპეტენციის გაძლიერება. პედაგოგები უპირატესობას ანიჭებენ გადამზადების ინტერაქტიულ მეთოდებს, როგორცაა ტრენინგები, როლური თამაშები და სხვ.

კვლევაში მონაწილე პედაგოგების ნაწილი კარგად არის გათვითცნობიერებული საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის და წლიური პროგრამის ახლებურ დიზაინთან დაკავშირებით. პედაგოგების ნაწილი ჩართული იყო სტანდარტის შესაბამისად პილოტური გაკვეთილების ჩატარების პროცესში. ისინი აღნიშნავენ, რომ ამ სტანდარტით ჩატარებულმა გაკვეთილებმა დიდი მოწონება დაიმსახურა მოსწავლეებში, რადგანაც გაკვეთილები იყო ინტერაქტიული, სახალისო და რამდენიმე გაკვეთილით მათ მნიშვნელოვანი უნარები შეიძინეს ცხოვრების ჯანსაღ წესთან დაკავშირებით.

პედაგოგების ნაწილი აცხადებს, რომ საერთოდ არ აქვთ ნანახი სტანდარტი, მის შესახებ მხოლოდ გადმოცემით და, ზოგიერთ შემთხვევაში, სატელევიზიო გადაცემებიდან იციან. პედაგოგების უმეტესი ნაწილი აცხადებს, რომ მათ მოსწონთ და მიესალმებიან სტანდარტით გათვალისწინებული ისეთი თემების სწავლებას, როგორცაა ოჯახი, ტოლერანტობა, ცხოვრების ჯანსაღი წესი, პირადი ჰიგიენა, ძალადობის პრევენცია, რელიგიური ტოლერანტობა და სხვ.:

პედაგოგების და მშობლების უმეტესობა თანხმდება, რომ საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება უნდა მიენდოს კლასის დამრიგებელს. მათი აზრით, დამრიგებელი არის მასწავლებელი, რომელიც ყველაზე უკეთესად იცნობს ბავშვებს, ასევე, იცის მოსწავლეთა ოჯახური მდგომარეობა და იცნობს ბავშვის ოჯახის წევრებს. ყველა მათგანი, ამავე დროს, აღნიშნავს, რომ საჭიროა დამრიგებლის გადამზადება, რათა მან სწორედ მოახდინოს საგნის სტანდარტით განსაზღვრული საკითხების მოსწავლესთან მიტანა.

კვლევის მონაწილეთა მცირე ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ ამ საგნის სწავლება უნდა მიენდოს ფსიქოლოგს, რადგანაც ფსიქოლოგი კარგად ერკვევა ადამიანის

ფსიქოლოგიაში და შეუძლია უფრო ადვილად მიუდგეს ბავშვებს და გამონახოს მათთან საერთო ენა.

დასკვნები

იმის გათვალისწინებით, რომ „მე და საზოგადოება“ არის ახალი საგანი, რომელშიც მრავალი ახალი თემა შეიძლება იქნას შეტანილი, იკვეთება დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტების გაძლიერების საჭიროება.

პედაგოგების ნაწილში აღინიშნება ინფორმაციული ვაკუუმი საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტთან დაკავშირებით. საგნის პილოტირებაში მონაწილე პედაგოგები გაცილებით უკეთ არიან ინფორმირებული სტანდარტის და ზოგადად საგნის შესახებ. ჩატარებულ პილოტურ გაკვეთილებს კარგი გამოხმაურება მოჰყვა, როგორც მოსწავლეთა, ასევე პილოტირებაში მონაწილე პედაგოგთა მხრიდან.

კვლევის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, შესაძლებელია საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება მიენდოს კლასის დამრიგებელს, გამომდინარე იქიდან, რომ ის უფრო ახლოს იცნობს მოსწავლეებს პიროვნულად, ასევე იცნობს მათი ოჯახის წევრებს და ოჯახურ მდგომარეობას.

რეკომენდაციები

კვლევის ანალიზის, მიღებული ძირითადი მიგნებებისა და დასკვნების საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი სახის პრაქტიკული რეკომენდაციები:

- ❖ საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყება რეკომენდებულია მე-3 კლასიდან (ნაცვლად მე-5 კლასისა), რაც საფუძველს ჩაუყრის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბებას.
- ❖ რეკომენდებულია, რომ დაინერგოს საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლება სკოლის დაწყებით საფეხურზე. საგნის სწავლების დროს გათვალისწინებული იქნას ბავშვის ასაკი და მასალის აღქმის უნარი.
- ❖ საგნის სტანდარტის დამტკიცების შემდეგ აუცილებელია, შეიქმნას სახელმძღვანელო/გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, რომლებსაც დაევალებათ ამ საგნის სწავლება. სახელმძღვანელოში დეტალურად უნდა იყოს გაწერილი ცალკეული თემების სწავლების ტექნიკა, მეთოდოლოგია, საკლასო და კლასგარეშე აქტივობები და ა.შ.
- ❖ საზოგადოების მეტი ინფორმირებულობის მიზნით, საჭიროა გააქტიურდნენ ექსპერტები განათლების სამინისტროდან, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორიდან, რომლებიც ჩართულები იყვნენ საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის შექმნაში და მიაწოდონ საზოგადოებას ობიექტური ინფორმაცია ტელევიზიის, რადიოს, ინტერნეტ რესურსებისა და სხვა მედიასაშუალებების გამოყენებით.
- ❖ განათლების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებთან ჩატარდეს სემინარი/სამუშაო შეხვედრა, რომ საგნის გაშუქების დროს მოხდეს ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელება.
- ❖ ჯანსაღი ცხოვრების წესზე საუბრისას აქცენტი გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა პირადი ჰიგიენის დაცვა, სწორი კვება, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, სპორტული აქტივობები, დასვენებისა და შრომის სწორი გადანაწილება.
- ❖ ოჯახზე და გენდერულ თანასწორობაზე საუბრის დროს აქცენტი გაკეთდეს ისეთ საკითხებზე, როგორცაა ოჯახის წევრებს შორის ურთიერთპატივისცემა, ოჯახში ძალადობის ნებისმიერი ფორმის დაუშვებლობა, უფროსი თაობის დაფასება, საოჯახო საქმიანობის თანაბარზომიერი და სამართლიანი გადანაწილება ოჯახის შიგნით, მამების და დედების თანაბარი მონაწილეობა ბავშვის აღზრდის საქმეში, ოჯახში და სკოლაში გენდერული ძალადობის დაუშვებლობა. მასწავლებელმა, რომელიც ოჯახის თემებზე ესაუბრება მოსწავლეებს, კარგად უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის ოჯახური მდგომარეობა.

- ❖ სკოლაში საწყის საფეხურზე რეკომენდებულია განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობის ანუ ტოლერანტობის სწავლების დაწყება. ტოლერანტობის თემაზე საუბრისას, აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთ თემებზე, როგორცაა სხვა ეროვნებებისა და რელიგიების მიმართ შემწყნარებლობა, განსხვავებული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე ადამიანების მიმართ ტოლერანტობა და ემპათია.
- ❖ საჯარო სკოლებში არ არის მიზანშეწონილი კონკრეტულად რომელიმე რელიგიის სავალდებულო სწავლება, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო მრავალრელიგიური ქვეყანაა და კლასში შეიძლება იყოს სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე მოსწავლეები.
- ❖ მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება გენდერის თემატიკაზე, დამატებითი ტრენინგებისა და გადამზადების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით.
- ❖ სასურველია, განათლების სამინისტრომ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოახდინოს საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტების სწავლების გაძლიერება დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში.
- ❖ რეკომენდებულია საგნის „მე და საზოგადოება“ სწავლების მინდობა კლასის დამრიგებელისთვის, გამომდინარე იქიდან, რომ დამრიგებელი უფრო ახლოს იცნობს მოსწავლეებს პიროვნულად, ასევე იცნობს მათი ოჯახის წევრებს და ოჯახურ მდგომარეობას.
- ❖ მიზანშეწონილია, რომ პედაგოგები, რომლებიც მონაწილეობდნენ საგნის პილოტირების პროცესში და უკვე აქვთ მსგავსი გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება, გამოყენებული იქნან, როგორც რესურსი სხვა პედაგოგებისთვის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

დანართი 1. ხარისხობრივი კვლევის „საგანი „მე და საზოგადოება“ - სტანდარტთან დაკავშირებული დამოკიდებულებები და საჭიროებები“ ინსტრუმენტი

- 1) მოსწავლის აღზრდის საკითხში აქვს თუ არა მნიშვნელობა ისეთი საკითხების შესწავლას როგორებიცაა: ოჯახი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, გენდერული თანასწორობა, ტოლერანტობა?

თუ კი:

- თქვენი აზრით, სხვადასხვა საგნებში სათანადოდ აისახება თუ არა ეს საკითხები დაწყებითი საფეხურის ბაზაზე, სანამ საზოგადოებრივი მეცნიერებების შესწავლა დაიწყება?
- თქვენი აზრით, სჭირდება თუ არა პიროვნული განვითარებისა და სოციალიზაციისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ადრეული ასაკიდანვე სწავლება? თუ არა, რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის სწავლება საჭირო დაწყებითი საფეხურიდანვე?
- რა უნარები თუ ჩვევები შეიძლება ჩამოუყალიბდეს ბავშვს სწავლების პროცესში?
- როგორ ფიქრობთ „ნასწავლის შინაარსი“ იქონიებს გავლენას მოსწავლის მომავალი ცხოვრების დაგეგმვის პროცესში? თუ კი, რა მიმართულებით? თუ არა, რატომ?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ არ უნდა ხდებოდეს ზემოთაღნიშნული თემების სწავლება სკოლაში?
- როგორ ფიქრობთ, რა მიზეზები არსებობს იმისა, რომ გარკვეული პირები თუ ჯგუფები ეწინააღმდეგებიან აღნიშნული საგნის დანერგვას სკოლებში?
- აქვს თუ არა ამას ობიექტური საფუძველი? თუ კი, რა შეიძლება იყოს ამის საფუძველი?
- რაში ხედავთ პრობლემას აღნიშნულ თემებზე საუბრისას რომ მოსწავლის ფსიქიკას ან ჯანმრთელობას (რამენაირად თუნდაც მცირედით) მიადგეს ზიანი აღნიშნულ თემებზე საუბრისას?

- 2) როგორ გგონიათ, დაწყებით საფეხურზე უნდა ეძლეოდათ თუ არა მოსწავლეებს ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ?

თუ კი:

- პირველ რიგში როგორ გესმით ტერმინი: ცხოვრების ჯანსაღი წესი

- რას უნდა მოიცავდეს თქვენი აზრით ჯანსაღი ცხოვრების წესი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის?
- ხედავთ თუ არა თქვენი (მოსწავლეებზე დაკვირვებისა თუ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით) აღნიშნულ თემებზე საუბრის აუცილებლობას? და თუ კი, რატომ?
- როგორ ფიქრობთ ამ საკითხებზე სტრუქტურირებული ფორმით საუბარი პედაგოგებისთვის და მოსწავლეებისთვის ოპტიმალური იქნებოდა?
- როგორ გგონიათ რომელი კლასიდან იქნებოდა სასურველი მსგავსი ინფორმაციის მიწოდება?

თუ არა:

- რატომ არ მიგაჩნიათ მიზანშეწონილად მსგავსი ინფორმაციის მიწოდება?
- რა შეიძლება იყოს მიზეზი იმისა, რომ გარკვეული კატეგორიის ადამიანებს არ სურთ მოსწავლეებთან ცხოვრების ჯანსაღ წესზე საუბარი?(პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენა, სპორტი, თამბაქო, ექიმთან ვიზიტი, კვება და სხვ.)?
- თქვენი აზრით, რომელი ზემოთაღნიშნული თემიდან არ უნდა იქნას განხილული სკოლის მოსწავლესთან და რატომ?

3) მიგაჩნიათ თუ არა საჭიროდ, რომ ისეთი საკითხი, როგორცაა ოჯახი ისწავლებოდეს დაწყებითი საფეხურზე?

თუ კი:

- რომელი საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში შეიძლება ამ საკითხის ყველა საუკეთესო ფორმით მიწოდება და რატომ?
- როგორ გგონიათ ოჯახის შესახებ რა შეიძლება პედაგოგმა ესაუბროს მოსწავლეს?
- როგორ ფიქრობთ ოჯახზე საუბრის შედეგად სად შეიძლება დაგვარგოთ ზღვარი და შევეხოთ ძალიან პირადს?
- როგორ ფიქრობთ, ოჯახზე საუბრისას რა უნდა გავითვალისწინოთ ისეთი რაც ბავშვისთვის და მისი ოჯახისთვის არ იქნება მიუღებელი?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ არ არის საჭირო აღნიშნულ თემაზე საუბარი სკოლის ასაკის ბავშვთან? რა ზიანის მოტანა შეუძლია ამას ბავშვისთვის?

4) მიგაჩნიათ თუ არა გამართლებულად საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დაწყება მართებულად მე-3 კლასიდან? (როგორც მოგეხსენებათ, იწყებოდა მე-5-დან)

თუ კი:

- რატომ გგონიათ რომ ეს საჭიროა?
- რა ცოდნასა და უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს საზოგადოებრივი მეცნიერებები მოსწავლეს რომ საჭიროდ თვლით მისი ადრეული ასაკიდანვე სწავლებას?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ არ უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მეცნიერებების წავლების დაწყება ამ ასაკში?
- ფიქრობთ, რომ 8-9 წლის მოსწავლე მზად არ არის განიხილოს ოჯახში ცხოვრების ჯანსაღი წესის საკითხები?
- ხომ არ ფიქრობთ, რომ შეიძლება შეიქმნას კონფლიქტი ამ საკითხებზე საუბრის შედეგად? თუ კი, ვის და ვის შორის (ბავშვი/ბავშვი, ბავშვი/ოჯახი, სკოლა/ოჯახი)? და რატომ?

5) მიგაჩნიათ რომ ტოლერანტობას და განსხვავებულობის მიმართ შემწყნარებლობას ადრეული ასაკიდანვე უნდა მიეჩვიოს მოსწავლე?

თუ კი:

- რა პოზიტივი მოაქვს ადამიანისთვის ტოლერანტობას ზოგადად?
- როგორ ფიქრობთ არის თუ არა ჩვენს ქვეყანაში გენდერული თანასწორობის ბალანსი დაცული?

თუ კი: რაში გამოიხატება ეს?

თუ არა: სად ხედავთ ამ მხრივ პრობლემებს?

- მიგაჩნიათ თუ არა რომ სკოლის ფარგლებში და სკოლის მაგალითებზე ამის სწავლება ხელსაყრელია? შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი?
- მიგაჩნიათ თუ არა რომ მომავალ თაობაზე ორიენტაცია საზოგადოების გაჯანსაღებისკენ გადადგმული ნაბიჯია?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რა არის ცუდი/მიუღებელი იმაში, რომ მოსწავლე ადრეული ასაკიდანვე მიეჩვიოს შემწყნარებლობას და განსხვავებული მოვლენებისადმი/ აზრისადმი იყოს მეტად შემწყნარებელი?
- რა ალტერნატივას შესთავაზებდით თქვენ (როდის ან რა ფორმატით შეიძლება მოსწავლეში შემწყნარებლობის ჩამოყალიბება)?

6) საგნის „მე და საზოგადოება“ სტანდარტის და წლიური პროგრამის ახლებური დიზაინი გესახებათ თუ არა პედაგოგისთვის ხელშემწყობად სწავლის პროცესში?

თუ კი:

- რა განხორციელებული ცვლილებები მოგწონთ საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტში?
- კონკრეტულად, რომელი თემა, რა საკითხი მოგწონთ?
- ყოფითი თემების ფორმატით მიწოდებული მასალა აიოლებს თუ არა აღქმის პროცესს? თუ კი, რატომ? თუ არა, რატომ?
- მიგაჩნიათ თუ არა რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტები არის გასაძლიერებელი? რატომ?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ არ არის „მე და საზოგადოების“ ახლებური დიზაინი გამოსადეგი მასწავლებლისთვის? გთხოვთ, მოიყვანოთ კონკრეტული არგუმენტები და მაგალითები.

7) იქნება თუ არა ეს კარგი ბაზა „ჩემი საქართველოსთვის“ სწავლებისთვის და რატომ?

თუ კი:

- თქვენი აზრით რა უნარებით აღჭურვავს მე და საზოგადოება მოსწავლეებს რაც გაუადვილებთ 5-6 კლასებში საზოგადოებრივი მეცნიერებების უკეთ შესწავლას?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ?

8) მიგაჩნიათ თუ არა რომ განათლების ექსპერტების მიერ საგნის - მე და საზოგადოება- სწავლების მინდობა ძირითადი საგნების პედაგოგისადმი (კლასის დამრიგებლისადმი) სწორი გადაწყვეტილება იყო?

თუ კი:

- მიგაჩნიათ თუ არა რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს ყველაზე უკეთ ფლობს დამრიგებელი? და რატომ?
- მიგაჩნიათ თუ არა რომ დაწყებითი საფეხურის პედაგოგების კვალიფიკაციაში საზოგადოებრივი მეცნიერებების ელემენტები გასაძლიერებელია?

თუ არა:

- თქვენი აზრით, რატომ არ ღირს ამ საგნის სწავლების მინდობა დამრიგებლისთვის? მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები.